The aim of our research is investigation of the content of heavy metals in leaves of *Melissa officinalis*, namely, copper and zinc which are considered as essential elements and lead and cadmium which are nonessential. Zinc and copper are essential trace elements for plant growth and also play an important role in various cell processes, including normal growth, brain development. Lead and cadmium are non-essential trace elements having no functions neither in human body nor in plants. They induce various toxic effects in humans even at low doses [4].


*Melissa officinalis* is a perennial medicinal, oils, lemon grasses characteristic aroma and branched roots. Straight-stalked trunk, tetrahedral, branched leaves are opposite. As raw materials are used leaves and top part. They contain 0.3 % - to the essential oils, which contain citronellal, copaene, mircin, tannin, as well as ascorbic, coffee and Ursula oleic acids. Melissa Essential Oil – one of the most effective and valuable essential oil [5]. Despite of the fact that the plant is widely spread in many countries, it remains rare and costly oil. The price of pure therapeutic Melissa oil is within the range from \$35 to \$100 for a 5 ml bottle. Melissa has been successfully used for over 2000 in the world's public and scientific medicine. The pharmaceutical industry is made galenar medicines, tea and medicines in the form of drug.

Melissa - healing is used as a soothing, spazmolitic remedy, it improves the appetite, enhances the secretion of gastric juice, reduces the fermentation problems. During the use the Melissa medicinal the patient is free from khu feeling, weakens or undermines takhikardic events and cardio pain.

#### Materials and Methods

Studies was conducted from April to September of 2013 year. Leaves samples from different phenological stages of its development were provided by Tbilisi State Medical University, laboratory of Pharmakobotanics of the I.Kutatadze Institute of Pharmacocchemistry, and they were taken from the experimental plot. Sample selection, preparation and processing was carried out according to our previously developed methods [6]. Heavy metals (copper, lead, cadmium and zinc) in the Melissa leaves were determined by differential - pulse polarographic method using PU-1 polarograph. Polarographical process was performed in the thermostatic cell ( $t=25\text{ }^{\circ}\text{C}$ ) with three electrodes by dropping mercury electrode ( $t=3.5\text{ sec}$ ,  $m=2.6\text{ mg/sec}$ ). The value of potentials was taken with respect to the saturated calomel electrode potential. In the course of research the following substances were used distilled water, purified hydrochloric and nitric acids and standard solution of lead, cadmium, copper and zinc salts.

At the Fig.1 the polarograms of the copper, lead, cadmium and zinc are shown of the content of heavy metals in Melissa leaves. The research was carry out at the development of four phenological stages; the first stage – “the rise of the beginning”, the second – “intense build”, the third - “adult leaves” and the fourth - “old leaves”, 1, 2, 3 and 4 respectively. At the Fig.2 presented results of investigation of quantitative content of heavy metals – copper, lead, zinc and cadmium at the 1, 2, 3 and 4 stages respectively.




**Fig.1.** Polarograms for Cu(II), Pb(II), Cd(II) and Zn(II) in 1 g of Melissa leaves in the supporting electrolyte of 0.1 M HCl: 1-Cu(II), 2-Pb(II), 3-Cd(II), 4-Zn(II); 1', 2', 3', 4' - corresponding standard solutions

#### Results and Discussion

The results analysis of the levels of heavy metals content in the selected Melissa leaves are discussed in this section and seasonal variation of the concentration of copper, zinc. Lead and cadmium are presented at the diagram (Fig.2). Studies have shown that trace elements (Cu, Pb, Zn, Cd) content in Melissa leaves are distinguished by substantial seasonal dynamics. The maximum concentration of all studied elements was of the first phonological development stage -1 and the minimum ones - at the last 4. Particular, in the dry leaves a copper concentration changes from 1 to 4 stages from  $21.8 \div 38.6\text{ ppm}$  up  $11.3 \div 16.9\text{ ppm}$ ; in the case a lead amounted 1- from  $1.5 \div 3.2\text{ ppm}$ , 4 up  $0.5 \div 2.32\text{ ppm}$ ; for cadmium from 1 –  $1.7 \div 0.75\text{ ppm}$ .

ppm, 4 - up 0.38÷1.02 ppm. As for zinc, according literature data [7] Melissa belongs to the group of plants that are well accumulated zinc, which is confirmed by our data. If we have previously [8] studied Sage medicinal leaves at the stage – 1 concentration of zinc was 42÷46.5 ppm and at the 4 stage - 14.8÷17.3 ppm, Melissa - treatment of the zinc concentration in accordance with the following: 71.2÷100 ppm and 50.9÷59.1 ppm.



**Fig.2.** The content of heavy metals in the 5 bushes of Melissa leaves at the different phenological stages of their development: 1 - rise in the beginning; 2 - intensive growth; 3 - adult leaves; 4 - old leaves.

### Conclusions

It was established that the content of the trace elements (Cu, Pb, Zn, Cd) in the leaves of Melissa is characterized by decrease of the concentration from spring to autumn. Of course, their concentration depends on environmental factors. The maximum decrease of the concentration coincides with the vegetation at the last two stages and corresponds to phenological development stages – “adult leaves” and “old leaves”. This period is recommended for medicinal plant collection. We have established that all of the heavy metals quantitative content in leaves of Melissa does not exceed the permissible level. The results suggest that medicinal plants, used for human consumption or for preparation of herbal products and standardized extracts should be collected from an unpolluted natural habitat.

### ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

- Vaikosen E.N. and Alade G.O. Evaluation of pharmacodiagnostic parameters and heavy metals in some locally manufactured herbal drugs. Journal Chemical and pharmaceutical Research., 2011, 3(2), p.p. 88-97.
- Patel P., Patel N.M., Patel P.M. Who Guidelines on Quality Control of Herbal Medicines. International Journal of Research in Ayurveda and Pharmacy, 2011, V. 2, No. 4, p.p. 1148-1154.
- Jabeen S., Shah M., Khan S. and Hayat M. Determination of major and trace elements in ten important folk therapeutic plants of Haripur basin. Journal of Medicinal Plants Research, 2010, 4(7), p.p. 559-566.
- Khan S.A., Khan L., Hussain I. Profile of Heavy Metals in Selected Medicinal Plants. Pak. J. Weed Sci. Res, 2008, 14(1-2), p.p. 101-110.
- Chagelishvili S., Gogorishvili M. Medicinal plants of Georgia and their used quality. Tbilisi, 1991. 141 p. (in Georgia).
- Enukidze L., Chelidze T., Shavgulidze N., Khavtasi N., Khokhashvili M., Gurgenidze I. and Chankashvili M. Elaboration of a New Method of Determination of some Heavy Metals in Vegetable Materials by Differential-pulse Pholarography. Georgian Engineering News, 2009, No. 1, p.p. 158-160 (in Russian).
- Putirski I.N., Prokhorov V.N. Lekarstvennie rasteniia, Minsk, 2005. 704 p. (in Russian).
- Enukidze L., Chelidze T., Chankashvili M., Loladze T., Churadze M.. Maintenance of some Heavy Metals in Medicinal Vegetative Row Materials – Leaves of the Sage (*Salvia Officinalis L.*) at Various

Phenological Stages of its Development. Proceedings of the Georgian National Academy of Sciences, Chemical Series 2012, V. 38, No. 4, 333-335 (in Georgia).

### მძიმე ფიტოფეზის შემცველობა გელისა სამურნალოს (*MELISSA OFFICINALIS*)

ცოთლებში ვენოლოგიური განვითარების ეტაპებზე

თამარ ჭელიძე, ლიანა ენუქიძე, მანანა ჩანკაშვილი, თეონა ლოლაძე, მანანა ჭურაძე\*

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რაფიელ აგლაძის არაორგანული  
ქმისა და ელექტროქმის ინსტიტუტი

\*თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი

#### რეზიუმე

წარმოდგენილი სამუშაო ეძღვნება სამურნალო მცენარის - მელისას (*Melissa Officinalis*) ფოთლებში მძიმე ლითონების (საილენბის, ტყვიის, თუთიისა და კადმიუმის) რაოდენობრივი შემცველობის დადგენას მისი ფენოლოგიური განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. მელისა სამურნალო გამოყენება როგორც დამამშვიდებელი, სააზმოლიტური საშუალება, იგი აუმჯობესებს მაღას, აძლიერებს კუჭის წვენის სეკრეციას, სპობს ფერმენტაციის პროცესებს. მელისა სამურნალოს გამოყენების დროს აკადმყოფს ეხსნება ხუთვის შეგრძნება, სუსტდება ან სულ ისპობა ტანიკარდიის მოვლენები და ტკივილები გულის არეში. კვლევები ტარდებოდა დიფერენციალურ-იმპულსური პოლაროგრაფიის გამოყენებით. დადგენილი იქნა, რომ მელისა სამურნალოს ფოთლებში განსაზღვრული მიკროელემენტების (Cu, Pb, Zn, Cd) შემცველობა ხასიათდება კონცენტრაციის კანონზომიერი შემცირებით გაზაფხულიდან შემოდგომამდებუნებრივია, რომ მათი კონცენტრაცია დამოკიდებულია ეპოლოგიურ ფაქტორებზე. კონცენტრაციის მაქსიმალური შემცირება ემთხვევა ვეგეტაციის ბოლო ორ ეტაპს და შეესაბამება განვითარების ფენოლოგიურ ეტაპებს - „ზრდასრული ფოთლები“ და „ძველი ფოთლები“ ანუ ამ პერიოდში არის რეკომენდირებული სამურნალო მცენარის შეგროვება.

#### СОДЕРЖАНИЕ ТЯЖЕЛЫХ МЕТАЛЛОВ В ЛИСТЬЯХ МЕЛИССЫ ЛЕКАРСТВЕННОЙ (*MELISSA OFFICINALIS*) НА ФЕНОЛОГИЧЕСКИХ ЭТАПАХ РАЗВИТИЯ

Т.Р. Челидзе, Л.Г. Енукидзе, М.В. Чанкашвили, Т.Ж. Лоладзе, М.И. Чурадзе\*

Тбилисский Государственный Университет им. Ив. Джавахишвили, Институт неорганической химии и электрохимии им. Р.И. Агладзе

\*Тбилисский Государственный Медицинский Университет, Институт фармакохимии им. И. Кутателадзе

#### РЕЗЮМЕ

Представленная работа посвящена определению содержания ионов тяжелых металлов (меди, свинца, кадмия и цинка) в лекарственном растении - Мелисса (*Melissa Officinalis*) на различных фенологических этапах его развития. Мелисса лекарственная используется в качестве успокаивающего и спазмолитического средства, она улучшает аппетит, повышает секрецию желудочного сока, устраняет проблемы ферментации. При применении Мелиссы лекарственной у больного снимается чувство удушья, ослабляется или полностью устраивается тахикардия и боль в области сердца. Исследования проводились с использованием дифференциально-импульсной полярографии. Установлено, что в листьях мелиссы лекарственной содержание микроэлементов (Cu, Pb, Zn, Cd) характеризуется закономерным снижением концентрации от весны к осени. Естественно, их концентрация зависит от экологических факторов. Максимальное снижение концентрации наблюдается на последних двух этапах вегетации и соответствует фенологическим этапам развития «взрослые листья» и «старые листья», т.е. этот период рекомендуется для сбора лекарственного растения.

## შიმიური ეპოლოგია

საქართველოში ზიფატა-სელის (*Camelina sativa*) ბიომასიდან საჭვავის ტარმოვასის პრესაბეჭივები

ავთანდილ დოლიძე, ირმა მიქაძე, თეიმურაზ უჩანევიშვილი, ნინო ქავთარაძე, ლიპარიშ დოლიძე,  
ნინო ნონიკაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰეტერე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქმითს ინსტიტუტი

ენერგორესურსების დეფიციტის შედეგად იზრდება ალტერნატიულ წყაროებზე გადასვლის აუცილებლობა, რაც განპირობებულია ნამარხი საწვავების გაძვირებით, ასევე კლიმატის გლობალური ცვლილების მუქარით. ბიოსაწვავის წარმოების განვითარების პერსპექტივა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, მათ შორის ასევე ენერგიის არატრადიციული წყაროების კონკურენციაზე (მაგ. ქარი, მოქცევა, ჰელიოენერგია). დაწყობულია სამუშაოები მრავალფეროვან მცენარეულ ნარჩენებზე, რომლებიც ადრე არ გამოიყენებოდა (მაგ. სიმინდის ღეროები, ცელულოზა და სხვ.). ბიოსაწვავის გამოყენებაზე მთლიანი გადასვლა ზოგიერთ მეცნიერს არ მიაჩნია მართებულად, რადგან მათი აზრით გაიზრდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ღირებულება და პროდუქტების ფასი. წიწმატა-სელის ზეთის მრავალმხრივი გამოყენების გამო (დიეტური საკებელი, საღებავები, მედიცინა, პარფუმერია, სამკურნალო კოსმეტიკა, არომათერაპია) მიღებული პროდუქტი სავარაუდო მთლიანად გაიყიდება შიდა ბაზარზე.

ენერგორესურსების დეფიციტის შედეგად იზრდება ალტერნატიულ წყაროებზე გადასვლის აუცილებლობა, რაც ამასთან ერთად განპირობებულია ნამარხი საწვავების გაძვირებით, ასევე კლიმატის გლობალური ცვლილების პერსპექტივით [1]. სადლეისოდ ყველაზე მეტად გავრცელებულია ბიოსაწვავის მიღება განახლებადი მცენარეული ბიომასიდან. ბოლო პერიოდში განსაკუთრებით დიდი ჭურადღება ექცევა სასურსათო კულტურების ბიომასის შეცვლას, არასასურსათო მცენარეების ბიომასით. მოუხდავად დიდი მცდელობისა, ბიოსაწვავის გამოყენების წილი აკმაყოფილებს საავტომობილო საწვავის მსოფლიო მოთხოვნილების მხოლოდ 3-5%-ს [2]. ამჟამად ბიოსაწვავის მირითად ნედლეულს წარმოადგენს სიმინდი, შაქრის ღერწამი და მცენარეული ზეთები. ბიოსაწვავის მსოფლიო წარმოების 90% მოდის აშშ, ბრაზილიასა და ეკვატორიაში გვევნებზე. სიმინდის და შაქრის ღერწმიდან სპირტის მიღება და შემდგომ გამოყენება ბიოსაწვავის მისაღებად, მთლიანობაში ნაკლებად რენტაბელურია, მაგრამ აშშ და ბრაზილიის მთავრობები მოსახლეობის დასაქმების გაზრდის მიზნით განაგრძონთ საქამად ფართო მასშტაბებით წარმოებას [3].

ბიოსაწვავის წარმოების განვითარების პერსპექტივა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, კერძოდ ნედლი ნავთობის ფასზე, სახელმწიფო მხარდაჭერაზე, გამოყენებული ტექნოლოგიების ეფექტურობაზე, რამაც შეიძლება შეამციროს მეორე თაობის ბიოსაწვავის თვითლირებულება, ასევე ენერგიის არატრადიციული სახეობების წყაროების კონკურენციაზე (მაგ. ქარი, მოქცევა, ჰელიოენერგია).

სადლეისოდ მოძიებული ნავთობის მსოფლიო მარაგის 2/3 განლაგებულია სპარსეთის ყურის ქვეწებში და ჯერ-ჯერობით მსოფლიო დამოკიდებულია ამ ნავთობზე. ქვეწების დამოკიდებულების შემცირება იმპორტულ ნავთობზე შესაძლებელია ალტერნატიული წყაროების გამონახვით და ეს გარემოება სულ უფრო აქტუალურია. ბიომასა განახლებადი წყაროა და ამასთან ერთად ამცირებს კლიმატის გლობალური ცვლილების პერსპექტივებს, რაც განპირობებულია ადმიანის ანტროპოგენული ზემოქმედებით გარემოზე. ამის შედეგად ხდება ატმოსფერული  $\text{CO}_2$ -ს კონცენტრაციის გაზრდა. XX საუკუნის მეორე ნახევარში პლანეტის ზედაპირზე ჰავერის ტემპერატურა გაიზარდა  $0.8^{\circ}\text{C}$ , ხოლო სადლეისოდ ზრდის ტემპი შეადგენს  $0.2^{\circ}\text{C}$  ყოველ ათწლეულში. ბოლო წლებში ზოგიერთი მეცნიერი მიუთითებს ტემპერატურის გაზრდის ტემპის შემცირების ტენდენციაზე, რაც მათი ვერსიით მსოფლიო საზოგადოების ძალისხმევის შედეგია (კიოტოს ოქმი, ეკოლოგიური ნორმების გამკაცრება გაფრქვევაზე ატმოსფეროში და ა. შ.). ფოტოსინთეზის მეოზებით მცენარეები გარდაქმნიან მზის ენერგიას ქიმიურ ენერგიად  $\text{CO}_2$  შთანთქმით და ქმნიან ბიომასას, ხოლო აქედან მიღებული ბიოსაწვავი აღარ იწვევს  $\text{CO}_2$  კონცენტრაციის გაზრდას [4]. უნდა აღინიშნოს, რომ ბიომასის ენერგიის სიმკრივე დაბალია და მხოლოდ მისი გამოყენება ვერ უშველის პლანეტის კლიმატის სტაბილიზაციას. საჭიროა ენერგიის სხვა ალტერნატიული წყაროს უფრო ფართო სპექტრის ამოქმედება. ასეთ ალტერნატიულ წყაროს აქვს თავისი ნაკლოვანებებიც, ამიტომ ყველა ქვეფანა ადგილობრივი რეალური პირობების გათვალისწინებით იყენებს ბიოსაწვავის განსხვავებულ კომპოზიტებს. უმეტესწილად ბიო და ჩვეულებრივი საწვავის ისეთ კომპოზიციებს, რომელიც არ მოითხოვს ტრანსპორტის ძრავების გადაკეთებას. ბუნებრივია, რომ ყველა ქვეყანაში ცდილობენ შედარებით ეკონომიური ტრანსპორტის გაზრდას.



ბიოსაწვავიდ გამოყენების წილის გაზრდისათვის გარკვეული პოტენციალი აქვს გადამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიებს და მათ შორის ძირითადად ეწ. სწრაფ პიროლიზა, რომელიც იძლევა შესაძლებლობას თხევადი მასის გამოსავალი ჩვეულებრივად მიღებული 50%-დან გაიზარდოს 70-75%-მდე. ეს გარემოება შეამცირებს წიწმატა-სელისაგან მიღებული ბიოსაწვავის თვითღირებულებას და რამდენადმე კონკურენტუნარიანი გახდება ნამარხ საწვავებთან შედარებით [7-9].

#### **ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА**

1. Howarth, N.A.A; Foxall, A. The Veil of Kyoto and politics of greenhouse gas mitigation in Australia. *Political Geogr.* 2010, 29, 167-176; ;
2. Ramage, J., Scurlock, J. Biomass. In *renewable Energy-power for a Sustainable Future*; Boyle, G., Ed.; Oxford University Press: Oxford, UK, 1996;
3. Zhang, O., Chang, J., Wang, T; Xu, Y. Review of biomass pyrolysis oil properties and upgrading research. *Energy Convers. Manag.* 2007, 48, 87-92;
4. Tsai, W.T; Lee, M.K.; Chang, Y.M. Fast pyrolysis of rice husk: product yields and compositions. *Bioresour. Technol.* 2007, 98, 22-28;
5. Bridgwater, A.V. Biomass fast pyrolysis. *Therm. Sci.* 2004, 8, 21-49;
6. Donwie, A. BEST Pyrolysis Technology: A Solution for the Greenhouse Challenge. BEST Energies, Australia. *ThermalNet Newslet.* 2007, 5, 5;
7. Demirbas, A. Arin, G. An overview of biomass pyrolysis. *Energy Source Part A* 2002, 24, 471-482;
8. Brammer, J.G., Lauer, M., Bridgwater, A.V. Opportunities for biomass-derived “bio-oil” in European heat and power markets. *Energy Policy* 2006, 34, 2871-2880;
9. Jahirul M., M., Rasul M.G., Chawdhury A.A., Ashwath N. Biofuels Production through Biomass pyrolysis-A Technological Review. *Energies* 2012, 5, 4952-5001.

#### **PERSPECTIVES OF FUEL PRODUCTION FROM BIOMASS OF *CAMELINA SATIVA* IN GEORGIA**

Avtandil Dolidze, Irma Mikadze, Teimuraz Uchaneishvili, Nino Kavtaradze,

Liparit Dolidze, Nino Nonikashvili

*Petre Melikishvili Institute of Physical and Organic Chemistry*

*at Iv. Javakhishvili Tbilisi State University*

#### **SUMMARY**

Due to shortage of energy resources the necessity of transition to alternative sources grows, which is caused by increase in prices of fossil fuels, as well as by threat of global climate change. Prospect of development of biofuel production depends on many factors, including competition of nontraditional energy sources (wind, helioenergy). Works on diverse remains of plant, which were not applied earlier (corn trunk, cellulose, etc.) are begun. Some scientists do not consider the full transition to the application of biofuels expedient, as they believe it will increase the costs of agricultural production and food prices. It is expected that due to multilateral use of oil of camelina sativa (diet, paint, medicine, perfumery, medical cosmetics, aromatherapy), received product supposedly completely will be sold in the domestic market.

#### **ПЕРСПЕКТИВЫ ПРОИЗВОДСТВА ТОПЛИВА ИЗ БИОМАССЫ *CAMELINA SATIVA* В ГРУЗИИ**

ა.ვ.დოლიძე, ი.ი.მიკაძე, თ.გ.უჩანეишვილი, ნ.ა.კავთარაძე, ლ.ა.დოლიძე, ნ.უ.ნონიკაშვილი

*თბილისის გიმნაზია იმ. ივ. ჯავახიშვილი*

*ინსტიტუტ ფიზიკური და օრგანიუმური ქიმიის იმ. პ.გ. მელიქიშვილი*

#### **РЕЗЮМЕ**

В связи с дефицитом энергоресурсов возрастает необходимость перехода на альтернативные источники, что обусловлено увеличением цен ископаемых топлив, а также угрозой глобального изменения климата. Перспектива развития производства биотоплива зависит от многих факторов, в частности, конкуренции нетрадиционных видов источников энергии (ветер, прилив, гелиоэнергия). Начаты работы по растительным отходам, которые раньше не применяли (ствол кукурузы, целлюлоза, и т.д.). Полный переход на применение биотоплива некоторые ученые не считают целесообразным, так как по их мнению, это увеличит расходы сельско-хозяйственного производства и цены продуктов питания. Из-за многостороннего применения масла Рыжика посевного (диетическое питание, краски, медицина, парфюмерия, лечебная косметика, ароматерапия) полученный продукт полностью будет продан на внутреннем рынке.

## ფლავონოიდები – ანტიოქსიდანტები თვისებების მქონე პიოლოგიურად აძლიშვილი გუნებრივი ნამდვილი

ლეილა ტატიაშვილი, მაის სტეფანიშვილი, ნანა წეროძე, ირმა მიქაძე

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
პეტერ მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი

შესწავლით ფლავონოიდების სხვადასხვა ჯგუფის ნაერთების სპექტრი. შერჩეულია მცენარეული ნედლეულიდან ანტიოქსიდანტური თვისებების მქონე ნივთიერებების გამოყოფის რაციონალური მეთოდიკა. შემუშავებულია ქონდარიდან წყალში ხსნადი ფლავონოიდების ეთილაცეტატური ფრაქციის მიღების ტექნოლოგია.

უკანასკნელ წლებში, მსოფლიოში, სულ უფრო და უფრო იზრდება ინტერესი მცენარეული წარმოშობის წამლების მიმართ. ყოველივე ეს გამოწვეულია იმით, რომ ბუნებრივ, ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს ახასიათებს დაბალი ტოქსიკურობა. მათ შეუძლიათ ზემოქმედება მოახდინონ ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიურ პროცესებზე და აქედან გამომდინარე ამაღლებენ მათ ბუნებრივ დაცვას. გარდა ამისა, მცენარეული ნედლეულიდან სამკურნალო საშუალებების მიღების პროცესი, ქიმიურ სინთეზთან შედარებით გაცილებით ხელსაყრელია.

განსაკუთრებულ ინტერესს სასოფლო-სამურნეო კულტურები, რომელთა ნედლეულის ბაზა საკმარისად ფართოა. მრავალი მცენარე შეიცავს ფლავონოიდებს, პოლისაქარიდებს, მიკროელემნტებს, აგრეთვე კუმარინს, ამინომჟავებს და სხვ. ამ სპეციალიდან განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებენ ფლავონოიდები, როგორც ადვილად ხელმისაწვდომი P-ვიტამინის პრეპარატები, რომლებიც ამაგრებენ და ელასტიურს ხდიან სისხლძარღვების კედლებს [1,2]. ამ უკანასკნელს განსაკუთრებით დიდი რაოდენობით შეიცავს: ვაშლი, ატამი, კოშმი, მოცხარი, გარგარი და სხვ. ქალბატონებსათვის ძალიან სასარგებლობა სისიოსა და ქერის შემადგენლობაში შემაგალი ფლავონოიდები, რომლებიც თავიანთი სტრუქტურით არიან ქალის პორმონების–ესტროგენების მსგავსი. ფლავონოიდები - ესაა მცენარეული წარმოშობის ფენოლური ნაერთების ფართო კლასი, რომელთაც გააჩნიათ საერთო დიფენსიურობანის სტრუქტურა. ეს უკანასკნელი გამოიჩინა სისხლძარღვებისა და კაპილარების კედლებზე დადგებითი ზემოქმედებით. P-ვიტამინის შემცველ პრეპარატებს ასევე წარმატებით გამოიყენებენ გულსისხლძარღვას და სხვა დაავადებების სამკურნალოდ და პროფილაქტიკის მიზნით. მიმდინარეობს ტექნოლოგიების დახვეწა მათ მისაღებად მცენარეული ნედლეულის ნარჩენებისაგან [3,4].

სახელწოდება ფლავონოიდები ან ბიოფლავონოიდები – წარმოდგება ლათინური სიტყვისაგან “flavus”, რაც ნიშნავს ყვითელს. ფლავონოიდების ბიოლოგიური როლის შესახებ პირველი სამუშაოები გამოქვენებულ იქნა ნობელის პრემიის ლაურეატის ფიზიოლოგისა და მედიცინის დარგში აღმდეგობრების და სენტ-დიორდის მიერ 1936 წელს. როგორც აღვნიშნეთ, 30-იან წლებში ნივთიერებათა ეს კლასი აღწერილი იყო, როგორც ვიტამინი P. ფლავონოიდების სისხლძარღვებსა და კაპილარებში მაღალი შეღწევადობის და ზემოქმედების გამო, ამჟამად მათ აღარ მიაკუთვნებენ ვიტამინების კლასს, მაგრამ ამის მიუხედავად მათი გამოყენება მედიცინაში ძალიან ფართოა. ფლავონოიდების მიმართ გამოჩენილი ინტერესის ახალი ტალღა დაიწყო 1990-იან წლებში, რაც დაკავშირებულია მათი ანტიოქსიდანტური თვისებების აღმოჩენასა და თავისუფალი რადიკალების ნეიტრალიზაციის უნართან.

ფლავონოიდების ფენეციები მცირდება შესწავლით. ვარაუდობენ, რომ ულტრაიისფერი გამოსხივების და ხილული სინალის ნაწილის შთანთქმის უნარის შემწეობით ისინი იცავენ მცენარეულ ქსოვილებს ზედმეტი რადიაციისაგან. ყვავილის ფურცლების შეფერილობა, რასაც განაპირობებს მათში ფლავონოიდების შემცველობა, ეხმარება მწერებს იპოვონ საჭირო მცენარე და ამით ეს უკანასკნელი წელს უწყობენ დამტვრევას. ფლავონოიდები გველინებიან მცენარის ზოგიერთი პათოგენური სოკოებისაგან დაზიანებული ადგილების დამცველ ფაქტორად. ცხოველებს არ შეუძლიათ ფლავონოიდური ჯგუფების სინთეზირება, ხოლო ფლავონებს შეიცავს ზოგიერთი პეპლის ფრთხი, რომელიც მათ ორგანიზმში ხვდება საკვებისგან. დღესდღეობით მიიჩნევა, რომ ფლავონოიდები გვევლინებიან ადამიანების და სხვა ძუძუმწოვრების საკვების შეუცვლელ კომპონენტებად. მათ ორგანიზმში ფლავონოიდებს შეუძლიათ შეცვალონ ნივთიერებათა ცვლის მრავალი ფერმენტის აქტიურობა [5].

ფლავონოიდები წარმოადგენენ ფიზიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს, რომლებიც საკვებთან ერთად აღწევენ ადამიანის ორგანიზმში და ზემოქმედებას ახდენენ ფერმენტების აქტიურობაზე. მათ იყენებენ, როგორც კლასიკურ, ასევე ხალხურ მედიცინაში. ფლავონოიდებასაგან დღესდღობით მზადდება სამკურნალო და ვიტამინური პრეპარატები, ბიოლოგიურად აქტიური დანამატები, მათ იყენებენ პარფუმეტრულ წარმოებაში. ფლავონოიდებს შეიცავს მცნარის ყველა ნაწილი, თუმცა განსაკუთრებით დიდი რაოდენობით მათ შეიცავს მცნარის ფოთლები და ყვავილები. ფლავონოიდები ანეტრალებენ თავისუფალ რადიკალების ზემოქმედებას, იცავენ უჯრედებს დამლისაგან, აქედან გამომდინარე ხელს უშლიან ორგანიზმის ადრეულ სიბერეს და ათეროსკლეროზის განვითარებას. მათ ახასიათებთ უნარი შეცვალონ ადამიანის ორგანიზმის რეაქცია ალერგენებზე, კანცეროგენებსა და ვირუსებზე. ამის დასტურია ფლავონოიდების ანტივირუსული, ანთების საწინააღმდეგო, შეშუპების საწინააღმდეგო და ანტიალერგიული თვისებები. გარდა ამისა, მათ გააჩნიათ იმუნური სისტემის ნორმალიზაციის უნარი, ანელებენ ანთებით პროცესებს და ებრძვიან სიმსიცნური უჯრედების გამრავლებას [6-8].

ფლავონოიდები გამოიყენება სისხლძარღვებისა და ნაწლავების საპატიოტის, კუჭის წყლულის, თორმეტგვაზა ნაწლავისა წყლულისა და სხვა დაავადებების სამკურნალოდ.

ამ მიზნით საკამაოდ ფართოდ გამოიყენება მოცვის ნაცოფის ექსტრაქტი, რომელიც დიდი რაოდენობით შეიცავს ანტიციანურ ფლავონოიდებს. მოცვის ექსტრაქტი ასევე სასარგებლოვა ცულსისხლძარღვთა და თვალის ბადურის სამკურნალოდ, აგრეთვე ვენების ვარიკოზული გაფართოების დროს. ანტიექსიდანტური ზემოქმედებით გამოიჩინა ფლავონოიდები, რომლებსაც შეიცავს წითელი და ისფერი ბოსტნეული და ზილი. მათ შორის: ბადრიჯანი, ყურძენი, ბროწეული, წითელი კომბოსტო, წითელი ვაშლი, ალუბალი.

მეცნიერთა კვლევების თანახმად ფლავონოიდების ნატურალურ წყაროებად მიჩნეულია: ციტრუსების ცედრა, ხახვი, ქაცვი, წითელი ყურძენი, მოცვი, წითელი ღვინო, მწვანე ჩაი, ტუნბერგია, შავი შოკოლადი, შავი ლუდი. საქმე იმაშია, რომ ვერც შოკოლადი, ვერც ლუდი და ვერც ზილი ვერ უზრუნველყოფს ადამიანის ორგანიზმს ფლავონოიდების საჭირო მარაგით. ამ პრობლემის გადასაჭრელად სპეციალისტები მთელ მსოფლიოში იყენებენ ბიოლოგიურად აქტიურ დანამატებს. ბიოლოგიურად აქტიური დანამატების რეგულარული მიღებით ადამიანს შეუძლია თავისი კვების ეფექტურად კორექტირება.

ფლავონოიდები კლასიფიცირდება ამგარად:

- ფლავონები 2-phenylchromen-4-one(2-phenyl-1,4-benzopyrone). მაგალითად: კვერცეტინი, რუტინი და ნარინჯინი. ფლავანოლი მაგალითად: კატეხინი, ეპიკატეხინი და სხვ.;
- იზოფლავონოიდები 3-phenylchromen-4-one(3-phenyl-1,4-benzopyrone), რომლებიც იყოფიან იზოფლავონებად, იზოფლავონებად და პრეროკარპანებად;
- ნეოფლავონოიდები 4-phenylcoumarine(4-phenyl-1,2-benzopyrone), მაგალითად: იზოფლავანი. ანტოციანიდინები.

განვიზილოთ ფლავონოიდების კლასის რაოდენიმე მნიშვნელოვანი ნაერთი. ფლავონიდები – ფიტონციდების დიდი ჯგუფია, რომლებსაც შეიცავს ზილი, ბოსტნეული, ღვინო და ჩაი. ანტიოქსიდანტური თვისებების გარდა ეს ნივთიერებები სასარგებლოვა ბოდიბილდერებისთვის და თავისი ძლიერი ანტიანთებითი თვისების გამო.

კვერცეტინი არის ხახვის, ჩაის, ბროკოლის, წითელი ყურძნის, ალუბლის და ღვინის შემადგენლობაში. იგი წარმოადგენს ვიტამინ E-სთან შედარებით უფრო ძლიერ ანტიოქსიდანტს, რომელიც ხელს უშლის ორგანიზმი კანცეროგენული ნივთიერებების წარმოქმნას, ანელებს სიმსიცნური უჯრედების ზრდასა და გავრცელებას. კვერცეტინი განსაკუთრებით სასარგებლოვა გულისათვის.

პროანტიციანიდი აღმოჩენილია ყურძნის წიბლის ექსტრაქტში და არის ძლიერი ანტიოქსიდანტი. ცნობილია ეწ. ფრანგული პარადოქსი, რაც მღვმარეობს იმაში, რომ ფრანგები უფრო ნაკლებად ავადდებიან სიმსიცნით და გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებებით, ვიდრე ამერიკელები, მიუხედავად იმისა, რომ მათი რაციონი გაჯერებულია ცხიმებით და ქოლესტერინით. მეცნიერები ამ პარადოქსს ხსნას იმით, რომ ფრანგები სვამენ ბევრ წითელ ღვინოს. წითელი ღვინო შეიცავს ფლავონოიდებს, კერძოდ კვერცეტინს, რომელიც ხელს უშლის ქოლესტერინის დალექცას სისხლძარღვების შიდა კედლებზე [9].

რესვერატროლს შეიცავს წითელი ყურძნის ჩენჩო. ითვლება, რომ იგი განაპირობებს წითელი ღვინის ანტიოქსიდეტერინულ ეფექტს. გარდა ამისა მას ახასიათებს ანტიოქსიდანტური და ანტიანთებითი თვისებები და ზელს უშლის სიმსიცნეების წარმოშობას. თუ თქვენ არ გიყვართ წითელი ღვინო მასში ალკოჰოლის შემცველობის გამო და არ გინდათ მისი მიღება არ არის პრობლემა, შეგიძლიათ მიირთვათ წითელი ყურძნის წვერი. სხვათა შორის ამ მხრივ წითელ ღვინოს თითქმის არ ჩამორჩება მოცვი. ასე რომ შეიძლება წითელი ღვინო წარმატებით შეიცვალოს მოცვის წვენით ან ჯემთ [10,11].

იზოფლავონს შეიცავს სოიოს პროდუქტები, რომლებსაც მრავალი გამოკვლევის თანახმად გააჩნიათ ანტისიმისივნური თვისება. ისინი აგრეთვე დაბლა სწევენ სისხლში ქოლესტერინის შემცველობას და ეწინააღმდეგებან ანთებით პროცესებს. სწორედ აქედან გამომდინარეობს მედიკოსების რეკომენდაციები, მიგილოთ სოიოგან წარმოებული პროდუქტები დიდი რაოდენობით.

კატეხინს შეიცავს დიდი რაოდენობით ჩაი და თოვლება საჭირო პროფილაქტიკურ საშუალებად სიმინდის წინააღმდეგ. იგი არის ძლიერი ანტიოქსიდანტი და თვისი დამცველი თვისებებით აღმატება ვიტამინებს C და E-ს, ასევე ბეტა-კაროტინს, რაც დამტკიცებულია მრავალი გამოკვლევით. ცნობილია ჩაის საინკორომებები სისხლძარღვებზე. აქედან გამომდინარე სასარგებლოვა დილის ყავას ვარჩიოთ დილის ჩაი, მაგრამ მასში არ არის საჭირო რძის დამატება, რაც იწვევს მისი ეფექტის შესუსტებას [12,13].

სილიმარინი აღმოჩნდილია არტიომორეში. მისი ანტიოქსიდანტური თვისება იძლევად ძლიერია, რომ მას იყენებენ ალკოჰოლიკების დვიძლის სამკურნალოდ და იგი იყიდება აფთიაქში ყავისფერი ტაბლეტების სახით.


ტანჯერიტინები, ნობილეტინები, ლიმონოიდები და ლიმონინები არიან ციტრუსების შემადგენლობაში. პირველ ორს ფართოდ მოიხმარენ კულტურისტები და აგრეთვე გამოიყენება სიმინდის საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ საშუალებად. ისინი ააქტიურებენ ფერმენტულ სისტემას, რაც აჩქარებს ვარჯიშის შემდეგ აღმდეგენ პროცესებს. ლიმონოიდები განსაკუთებით ბევრია ფორთოხლისა და გრეიპფრუტის წვენში, ხოლო ლიმონინის ციტრუსების გარდა შეიცავს სხვადასხვა ნილი, ბოსტნეული და ხორბლეული.

ბოსტნეული არა მარტო კარგი ანტიოქსიდანტია, არამედ მასში შედის ნივთიერება, რომელიც ააქტიურებს უჯრედთა შორის ფერმენტულ სისტემას: ინდოლინი, იზოთიოცანიტი და სულფორაფანი. ფერმენტული სისტემა ბლოკავს ან მინიმუმ ასუსტებს ვარჯიშის შემდგომ უჯრედების რღვევას, აგრეთვე ხელს უწყობს მათ აღდგენას. აღნიშნული ფიტოციდები მიზანმიმართულად აჩქარებენ აღდგენით პროცესებს ფიზიკური დატემპორატვის შემდეგ. მათი საუკეთესო წყაროა – კომბოსტო, ბროკოლი, ბრიუსელის კომბოსტო, ყვავილოვანი კომბოსტო, ყაბაყი და სალათი. ცილების მაღალი შემცველობის მქონე პარკსანი მცენარეები შეიცავენ ინჰიბიტორებს, რომლებიც ხელს უწყობენ ვარჯიშის შემდგომ აღდგენით პროცესებს [14].


დიალილ სულფიდი და ალილ მეთიოლ ტრიისულფიდი, რომლებიც შედიან ხახვას და ნიორში, ააქტიურებენ ენზიმების მოქმედებას. ეს უკანასკნელი პასუხისმგებლები არიან ორგანიზმის დეტოქსიკაციაზე. როცა ეს ენზიმები მუშაობენ დაჩქარებულ რეჟიმში ორგანიზმი სწრაფად თავისუფლდება არასასურველი მიმოკლის პროდუქტებისაგან და შესაბამისად ჩქარდება აღდგენით პროცესი. საყოველთაოდაა ცნობილი ნივრის ანტიბაქტერიული თვისებები. გარდა ამისა, ის ხელს უწყობს წნევასა და სისხლში ქოლესტერინის შემცველობის შემცირებას. მრავალი მწვანილი, მათ შორის კამა, ქონდარი და ნიახური, ისევე როგორც ნიორი ხელს უწყობენ ფერმენტული სისტემის მუშაობის აქტივიზაციას. როზმარინი, ძირტკბილა და პიტნა ხასიათდება ძლიერი ანტიოქსიდანტური თვისებებით, მაგალითად როზმარინი და ძირტკბილა შეიცავენ კარნეოლსა და ურსოლმეტავას და ხასიათდებიან შემუპების საწინააღმდეგო თვისებებით[15].

ფლავონოიდები მიეკუთვნება ნივთიერებებს, რომლებიც ხშირად გვხვდება ბუნებრივ ნედლეულში. ქმიურად ეს ჰეტეროციკლური ნაერთები, ბირთვში უანგბადის ატომით, წარმოადგენს წარმოებულებს და უანგვის ხარისხზე დამოკიდებულებით იყოფა ჯგუფებად: ფლავონი, ფლავონოლი, ფლავანონოლი, იზოფლავონი, ჰალკონი, აურონი და სხვ. მცენარეები მათ გლიკოზიდების, იშვათად თავისუფალი აგლიკონების სახით შეიცავს, რომლებიც ადვილად ხსნადია წყალსა და სპირტში და მნელად იხსნება ან თითქმის უხსნადია ორგანულ ნაერთებში. ბოლო დროს ამ ნაერთებმა მედიცინაში ფართო გამოყენება პპოვეს, როგორც სპაზმის მოხსნელმა და წნევის დამწევება საშუალებებმა გულსისხლძარღვა დაავადებებისა და ათეროსკლეროზის დროს. ასევე ღვიძლისა და ნაღვლის ბუმტის მკურნალობისას. აღნიშნულ ნივთიერებებს შეიცავს: კუნელი, წყლის წიწაპა და ლავანდა [16,17].


ფლავონოიდები ეს არის მცენარეული პოლიფენოლების უმსხვილესი კლასი. ქმიური თვალსაზრისით ფლავონოიდები წარმოადგენს ფლავონის, იზოფლავონის, 4-ფენილკუმარინისა და აურონის პიდროესიწარმოებულებს.




ფლავონი



იზოფლავონი



4-ფენილკუმარინი



ფლავონოიდებს ასევე განეკუთვნება  $C_6-C_3-C_6$  რიგის სხვა ნაერთებიც, რომლებსაც გააჩნიათ ერთმანეთთან სამნახშირბადოვანი ფრაგმენტით დაკავშირებული ორი ბენზოლური ბირთვი – ჰალკონი, დიჰიდროპალენი და აურონი [18].

ფლავონოიდების ანტიოქსიდანტური აქტივობის ეფექტურობის იდენტიფიკაციისათვის გამოიყენება ლიპიდების ზეჟანგური უანგვის ინტენსივობა. მის შესაფასებლად ისაზღვრება რეაქციის შედეგად წარმოქმნილი მალონის დიალდეპილის რაოდენობა მუავა არეში, მაღალ ტემპერატურაზე ( $100^{\circ}\text{C}$ ). მალონის დიალდეპილი მოქმედებს 2-თოობარბიტურის მუავასთან და იძლევა უოლოსფერ ტრიმეთილურ კომპლექსს შთანთქმის მაქსიმუმით 532 ნმ-ზე [19].

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, მცნარეთა ფართო სპექტრში მნიშვნელოვანი პოზიცია უკავია ქონდარს, როგორც ფენოლტების ძლიერ მასტიმულირებელ პროდუქტს. ამის გათვალისწინებით, აქტუალურია ქონდარიდან წყალში ხსნადი ფლავონოიდების ეთილაცეტატური ფრაქციის მიღების ტექნოლოგიის დახვეწა.

ცდები ტარდებოდა ბაღის (Satureja hortensis L.) ან მთის (Satureja spicigera L.) ჩრდილში გამშრალი ქონდრის დაქუცმაცებულ მწვანე მასაზე. პროდუქტი თავსდებოდა თერმომდგრად ჭურჭელში, ემატებოდა 600 მლ წყალი 1:6 მოცულობით, რომ ქონდარის მასა წყალში ყოფილიყო ჩაძირული და ცხელდებოდა მდუღარე წყლის აბაზანაზე 15 წთ-ის მანძილზე. მიღებულ ხსნარს ემატებოდა ტყვიის აცეტატი ( $\text{CH}_3\text{COO})_2\text{Pb}$ . შენჯღრევის შემდეგ ხდებოდა ხსნარის ცენტრიფუგირება 5 წთ 2000 ბრ/წთ. მიღებული სუპერნატანტი იღვრებოდა და ნალექში რჩებოდა  $\text{Pb-ჩანაცელებული ნაერთები}$ . ნალექი იხსნებოდა 200 მლ 2%  $\text{H}_2\text{SO}_4$ -ში. მიღებული შემუავებული ხსნარი ( $\text{pH}=1-2$ ) ცენტრიფუგირდებოდა 5 წთ 2000 ბრ/წთ. მიღებულ სუპერნატანტს დეკანტაციით შორდებოდა  $\text{PbSO}_4$ -ის ნალექი და ხდებოდა ბენზოლით მისი 3-ჯერადი ექსტრაქცია (1:2; 1:4; 1:4) ლიპიდებისა და ლიპიდური ნაერთების მოსაცილებლად, რომლებიც იხსნებოდნენ და გადადიოდნენ ბენზოლში. შემდეგ ხდებოდა დარჩენილი ხსნარის ხელახალი ექსტრაგირება ეთილაცეტატით.  $\text{Na}_2\text{SO}_4$ -ით გაუწყლოვნებისა და გაფილტვრის შემდეგ მიღებული ექსტრაგენტი კონცენტრირდებოდა ვაკუუმ-გადამდენით  $55-65^{\circ}\text{C}$ . ამ დროს რჩებოდა ფლავონოიდების კონცენტრირებული მასა, რომელიც შრებოდა ანაეროსტატში ვაკუუმში  $70^{\circ}\text{C}$  48 სთ-ის განმავლობაში.

ამგარად, ბუნებრივი წარმოშობის ფლავონოიდები დიდი უპირატესობით სარგებლობენ მცნარეულ სხვა ნაერთებთან შედარებით თავისი ანტიოქსიდანტური და სამკურნალო-ვიტამინური თვისებების გამო.

#### ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Минеджэн Г.З. Сборник по народной медицине и нетрадиционным способам лечения. М., 1997. 268 с;
2. Журавель И.А. Фенольные соединения околовплодника гречихи посевной и синтез их аналогов : автореф. дис. канд. фарм. наук. Харьков, 1991. 23 с;
3. Лобанова А.А., Будаева В.В., Санович Т.В. Исследование биологически активных флавоноидов в экстрактах из растительного сырья // Химия растительного сырья. 2004. №1. Стр. 47–52;
4. Sokoloff B., Walter H.E., Redd J.B. The biological activity of a flavonoid (vitamin "P") compound // Clin Invest. 1951, V. 30. N. 4. P. 395-400;
5. Лобанова А.А., Будаева В.В., Санович Т.В. Исследование биологически активных флавоноидов в экстрактах из растительного сырья // Химия растительного сырья. 2004. №1. Стр. 47–52;
6. Кондакова Н.В., Заичкина С.И., Розанова О.М., Сахарова В.В. Противолучевые свойства лекарственного средства "диквертин" по микроядерному тесту *in vivo* при умеренных малых дозах ионизирующей радиации // Вопр. биол. мед. фарм. хим., 2002, N. 4. Стр. 46-49;
7. Бранд-Гарнис Э., Вандансик П. Флавоноиды в косметике // Косметика и медицина. 2001, N. 5. Стр. 22-45;

8. Сизова Н.В. Биофлавоноиды антиоксиданты, имуномодуляторы, капиляропро- в косметологии: антиоксидантное, бактерицидное и солнцезащитное действие. Тезисы на IX международной научно-практической конференции // Сырец и упаковка. 2001, N. 22. Стр. 17-18;
9. Lea G.H., Bridle A.P., Timberlake C.F., Singleton V.L. The procyanidins of white grapes and wines // Am. J. Enol. Vitic. 1979, V. 30. N.4. P. 289-300;
10. Handbook of Enology. The Chemistry of Wine P. Ribereau-Gayon, Y. Glories, etc., Assessing the Phenol Content of Red and White Wines. France 2006, Volume 2., pp.172-173;
11. Квливидзе Д. Г., Бежуашвили М. Г. Исследование антоцианов винограда сорта Саперави и приготовленных из него столовых сухих виноматериалов по месту их происхождения. «Магарач. Виноградарство и Виноделие», 2005, №1, Стр. 25-27;
12. Fujii M.M. Anthocyanidins induce apoptosis in human promyelocytic leukemia cells: structureactivity relationship and mechanisms involved // Int. J. Oncol. 2003, V. 23. P. 705712;
13. Fuleki T., Silva R.D. Catechin and procyanidin composition of seeds from grape cultivars grown in Ontario // J. Agric. Food Chem. 1997, V. 45. P. 1156-1160;
14. Detre Z, Jellinek H, Miskulin M, Robert A.M. Studies on vascular permeability in hypertension: action of anthocyanosides // Clin. Physiol. Biochem. 1986, N.4. P. 143-149;
15. Gu M., Singh R.P., Dhanalakshmi S., Agarwal C., Agarwal R. Silibinin inhibits inflammatory and angiogenic attributes in photocarcinogenesis in SKH-1 hairless mice // Cancer Res. 2007, V. 67. N.7. P. 3483-3491;
16. Prieur C., Rigaud J., Cheynier V., Moutouet M. Oligomeric and polymeric procyandins from grape seeds // Phytochemistry, 1994, V. 26. P. 781-784;
17. Mazza G. Anthocyanins in grapes and grape products // Crit. Rev. Food Sci. Nutr. 1998, V.35. N.4. P. 341-371;
18. Ломбоева С.С., Танхаева Л.М., Оленников Д.Н. Методика количественного определения суммарного содержания флавоноидов в надземной части ортилии однобокой (*Orthilia secunda* (L.) House) // Химия растительного сырья. 2008. №2. Стр. 65–68;
19. Стальная И.Д., Гаришвили Т. Г., Метод определения малонового диальдегида с помощью тиобарбитуровой кислоты. Современные методы в биохимии. М. Медицина 1977, Стр.66-68.

## FLAVONOIDES – BIOLOGICALLY ACTIVE NATURAL COMPOUNDS WITH ANTIOXIDANT PROPERTIES

Leila Tatiashvili, Maia Stepanishvili, Nana Tserodze, Irma Mikadze  
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Petre Melikishvili Physical and Organic Chemistry*

### SUMMARY

The range of different flavonoide group compounds are being studied. A rational method for separation of substances with antioxidant properties from plant raw materials is selected. The technology for receiving water-soluble flavonoide ethyl acetate fraction from savory is developed.

## ФЛАВОНОИДЫ – БИОЛОГИЧЕСКИ АКТИВНЫЕ ПРИРОДНЫЕ ВЕЩЕСТВА С АНТИОКСИДАНТНЫМИ СВОЙСТВАМИ

Л.Т.Татиашвили, М.А.Степанишвили, Н.П.Церодзе, И.И.Микадзе  
*Институт физической и органической химии им. П.Г.Меликишвили  
 Тбилисского Государственного Университета им. Ив.Джавахишвили*

### РЕЗЮМЕ

Изучен спектр веществ разных групп флавоноидов. Подобрана рациональная методика выделения веществ с антиоксидантными свойствами из природного сырья. Разработана технология получения этилацетатной фракции растворимых флавоноидов из чабера.

## ძიმიშრი ეპოლოგია

**მოდიფიცირებულ სინთეზურ ცენტრით გახდეთ ინტენსიულის ღრმა დაზანგის შედეგები**

რევაზ ზედგინიძე, ქათევან ჩხაიძე

**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

თანამედროვე ატმოსფერო სიცოცხლის განვითარებასთან ერთად ჩამოყალიბდა. მოლექულური ჟანგბადის კონცენტრაცია ატმოსფეროში, მწვანე მცვანარების გავრცელების პარალელურად იზრდებოდა.

ჩვენს დროში ატმოსფეროს შედგენილობა მისი ძირითადი კომპონენტების მიხედვით მეტნაკლებად სტაბილურია.

ატმოსფეროსთანაა დაკავშირებული ჟანგბადის, ნახშირბადის, აზოტის, წყლის და სხვათა წრებრუნვა. საპარო სივრცე გიგანტური რეზერვუარის როლს ასრულებს, რომელიც უზრუნველყოფს ამ ნივთიერებების დედამიწაზე განაწილებას.

ბიოსფეროში ჟანგბადის დაგროვებას მცენარეული საფარი, მწვანე საფარი განაგებს, მაგრამ მათი საერთო მასა კატასტროფულად ეცემა, რაც უპირველესად გარემოს დამაბინძურებელ ნივთიერებათა კოლონიალური რაოდენობითაა გამოწვეული. ჟანგბადის გამოყოფის ინტენსივობა ინდუსტრიულ რაიონებში საშუალოდ ორჯერ დაბალია, ვიდრე სუფთა გარემოში. ატმოსფეროს დაბინძურება გლობალური პრობლემაა. განვითარებულ სამრეწველო ცენტრებში მრეწველობისა და ავტოტრანსპორტის მომატებული რაოდენობის გამო გარემოს დაბინძურებამ გადააჭარბა ეკოლოგიურად უსაფრთხო ზღვარს.

ეკოლოგთა ერთერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა გარემოს დაცვის ტექნოლოგიური საკითხების გადაწყვეტისათვის ფიზიკური, ქიმიური და ინჟინრული უფექტური გზების ძიება.

ჩვენი მიზანი იყო ჰეტეროგენულ-კატალიზური რეაქციების გამოყენებით ისეთი მაღალტოქსიკური ნივთიერების, როგორიცაა ორთოქსილოლი უვნებელ პროდუქტებად გარდაქმნა. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ამოცანა იყო მაღალაქტიური და სელექტიური კატალიზური სისტემების შექმნა.

კვლევის ერთერთ ნაწილს წარმოადგენდა ზოგიერთი მოდიფიცირებული სინთეზური ცეოლითის კატალიზური თვისებების შესწავლა ორთო-ქსილოლის ღრმა დაუნგვის რეაქციაში.

ცდებში გამოყენებული იყო ნატრიუმიანი და კალიუმიანი ფორმები ცეოლითებისა  $\text{Y}(\text{SiO}_2/\text{Al}_2\text{O}_3=4.2)$ , მორდნიტი ( $\text{SiO}_2/\text{Al}_2\text{O}_3 = 10.2$ ),  $\text{L}(\text{SiO}_2/\text{Al}_2\text{O}_3=5.29)$ , ერიონიტი ( $\text{SiO}_2/\text{Al}_2\text{O}_3=6.8$ ). ცეოლითების რკინაშემცველი ფორმები მომზადებული იყო ორი მეთოდით: а) იონური მიმოცვლით, ცეოლითების  $\text{Fe}(\text{NO}_3)_3 \cdot 9\text{H}_2\text{O}$ -ს წყალხსარით ხუთმაგი დამუშავებით ოთახის ტემპერატურაზე  $\text{pH} \approx 5.5 - 6$ . б) გაზური ფაზიდან  $\text{Fe}(\text{CO})_5$  ადსორბციით.

დადგინდა, რომ ცეოლითში რკინის კათიონების შეყვანა სისტემაში "ჟანგბადი-ცეოლითი" აჩქარებს ჟანგვით პროცესებს. ამასთანავე რკინაშემცველი ცეოლითების აქტიურობა დამოკიდებულია რკინის კათიონების კონცენტრაციაზე, ცეოლითებში შეყვანის მეთოდზე და ასევე ნიმუშების წინასწარი დამუშავების პირობებზე. ცდები ტარდებოდა გამჭოლ დანადგარზე. ცდების წინ  $\text{Fe}$  - ცეოლითები სტანდარტულად მუშავდებოდა ჰაერის ნაკადში  $450^{\circ}\text{C}$ -ზე 1-1.5 საათის განმავლობაში. ასეთი დამუშავების შემდგომ ტემპერატურას ვაყენებდით ცდის ტემპერატურაზე და ვატარებდით ორთოქსილოლ - ჰაერის ნარევის ( $C=3$  მგ/ლ) ნაკადს. ცდები ტარდებოდა ნაკადის  $20\ 000$  სთ $^{-1}$  მოცულობით სიჩქარეზე. იხ. ცხრილი 1.

ზემოთ აღნიშნული მეთოდით დამუშავების შედეგად გამოკვლეული ნიმუშები ამჟღავნებდნენ არამდგრად მომატებულ აქტიურობას უკვე  $250^{\circ}\text{C}$ -ზეც კ. 30-40 წუთის განმავლობაში მცირდებოდა შედარებით სტაციონალური აქტიურობა, რომელიც 5-6 საათის შემდეგ უმნიშვნელოდ მცირდებოდა (5 - 10%). იხილეთ ნახაზი 1.

ცხრილი 1. ზოგიერთი მოდიფიცირებული სინთეზური ცეოლითის კატალიზური თვისებების შესწავლა ორთო-ქსილოლის ღრმა დაუნგვის რეაქციაში

| ცეოლითი                   | შემცველ<br>ობა Fe<br>% | ო-ქსილოლის კონვერსია % |       |       |       | CO <sub>2</sub> -ის რაოდენობა პროდუქტში % |       |       |       |
|---------------------------|------------------------|------------------------|-------|-------|-------|-------------------------------------------|-------|-------|-------|
|                           |                        | 250°C                  | 300°C | 350°C | 400°C | 250°C                                     | 300°C | 350°C | 400°C |
| Na-Y**                    | -                      | 17.8                   | 40.2  | 75.2  |       | 10.2                                      | 13.8  | 17.0  |       |
| K - Y*                    | -                      |                        | 60.5  | 67.5  |       |                                           | 13.8  | 16.0  |       |
| Na - M*                   | -                      |                        | 10.7  | 19.4  | 29.0  |                                           | 11.2  | 12.8  | 14.2  |
| K - L*                    | -                      |                        | 21.4  | 24.0  | 43.4  |                                           | 12.1  | 13.0  | 15.2  |
| Na-L*                     | -                      |                        |       | 18.7  | 32.2  |                                           |       | 13.0  | 14.0  |
| K - ER*                   | -                      |                        | 10.6  | 12.7  | 40.6  |                                           | 12.7  | 14.0  | 14.8  |
| Fe,Na-Y <sub>ადს</sub> ** | 8.6                    | 35.5                   | 63.2  | 91.3  |       | 42.0                                      | 43.0  | 48.0  | 55.0  |
| Fe,H,Na-Y <sub>ადს</sub>  | 3.1                    | 20.4                   | 51.7  | 70.7  | 82.2  | 40.0                                      | 43.0  | 49.0  | 51.0  |
| Fe,K-L <sub>ადს</sub> *   | 1.67                   |                        | 23.3  | 32.2  | 50.1  |                                           | 38.0  | 41.0  | 43.0  |
| Fe,K-L <sub>ა.მ.</sub> ** | 7.2                    |                        | 29.4  | 40.2  | 53.5  |                                           | 38.0  | 40.0  | 41.0  |
| Fe,Na-M <sub>ა.მ.</sub> * | 6.5                    |                        | 14.5  | 27.4  | 49.2  |                                           | 31.0  | 35.0  | 36.0  |
| Fe,H,Na-M <sub>ა.მ.</sub> | 2.9                    |                        | 13.2  | 23.7  | 40.6  |                                           | 32.0  | 34.0  | 37.0  |
| Fe,Na-DM <sub>ა.მ.</sub>  | 3.7                    |                        | 13.7  | 28.0  | 50.0  |                                           | 40.0  | 43.0  | 49.0  |


შენიშვნა:

\* - პარციალური დაუნგვის ფისისებრი პროდუქტი;

\*\* - პარციალური დაუნგვის კრისტალისებრი პროდუქტები;

ადს - მომზადებულია ადსორბციული მეთოდით;

ა.მ. - მომზადებულია იონური მიმოცვლის მეთოდით.



ნახ. 1. ორთოქსილოლის დაუნგვაში კატალიზატორების მუშაობის სტაბილობა

- 1. Fe,Na-Y<sub>ადს</sub>
- 2. Fe,H,Na-Y<sub>ადს</sub>
- 3. Fe,K-L<sub>ადს</sub>
- 4. Fe,K-L<sub>ა.მ.</sub>
- 5. Fe,Na-M<sub>ა.მ.</sub>
- 6. Fe,H,Na-M<sub>ა.მ.</sub>
- 7. Fe,Na-DM<sub>ა.მ.</sub>

ორთოქსილოლის კონვერსიისა და რეაქციის პროდუქტები CO<sub>2</sub>-ის მნიშვნელობები ცხრილში მოცემულია კატალიზატორების სტაციონალური აქტიურობის პირობებში. ორთოქსილოლის კონვერსია Fe - ცეოლითზე მცირდება შემდეგი რიგით:



როდესაც ნიმუში FeNaY<sub>ადს</sub> (8.6%Fe) 1-1.5 საათის განმავლობაში 450°C ჰაერის ნაკადში დამუშავების შემდეგ მუშავდებოდა He ნაკადში, რომელიც შეიცავდა 15% (მოცულობითი პროცენტი) წყალბადს, ალმოჩნდა, რომ საწყისი აქტიურობა ჰაერის ნაკადში დამუშავებულ ნიმუშთან შედარებით

გაიზარდა. ერთი საათის შემდევ მყარდება სტაციონალური აქტიურობა, რომელიც ახლოსაა ან ტოლია სტანდარტული მეთოდით დამუშავებული ნიმუშების აქტიურობის.

უნდა აღინიშნოს, რომ Fe -შემცველ ცეოლითებზე პარციალური დაფანგვის პროდუქტების წილი მცირდება საწყის ცეოლითებთან შედარებით. ღრმა დაფანგვის პროდუქტების წილის მიხედვით Fe - ცეოლითები ლაგდებიან შემდევი რიგის მიხედვით:



#### ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. G.V.Tsitsishvili, I.G.Borisovich, G.V.Maisuradze, V.G.Metreveli, G.V.Antoshin, R.Z. Zedgunidze. Catalytic oxidation of o-xilone over zeolites modified with transition elements. 8-th Int. Zeolite Conference, Amsterdam. July 10 - 14, 1989. p. 469.
2. R.Z.Zedginidze, I.G.Borisovich, G.V.Anyoshin. The investigation of combustion on the basis of different structural type zeolites modified by chemisorbtion  $\text{Fe}(\text{SO})_5$ . Proceedings of Soviet - French seminar on catalysis, Novosibirsk - 90, June 18 - 21. p. 252.

### RESULTS OF THE DEEP OXIDATION OF O-XYLENE ON MODIFIED SYNTHETIC ZEOLITES

Revaz Zedginidze, Ketevan Chkhaidze


*Samtskhe-Javakheti State University*

#### SUMMARY

სურ. 2გ რენტგენული დიფრაქტოგრამა ამოწევით გაწმენდილი ნიმუშისთვის გვიჩვენებს, რომ ამოწევის შედეგად Si, არის ერთფაზიანი და გაიწმინდა უმრავლეს მინარევისაგან. ამის დასტურია, რომ რენტგენული დიფრაქტოგრამა ემთხვევა უტალონურს. ყველა ძირითადი დიფრაქციული მაქსიმუმი, რომელიც დამახასიათებელია სუფთა სილიციუმისთვის. გამოვლინდა გაწმენდილ Si-ის დიფრაქტოგრამაში.

უკვე ერთფაზიანი სილიციუმის დიფრაქტოგრამის სრული გაშიფრისთვის დიფრაქტოული მაქსიმუმების შესაბამის კუთხეების განსაზღვრის შემდეგ ვულფ-ბრეგის ფორმულით გამოითვლება სიბრტყეთა შორის მანძილი დამოკიდებული მიღერის ინდექსებზე (hkl) კომპიუტერული ბაზის მონაცემების გამოყენებით. ეს მონაცემები მოყვანილია ცხრ.2-ში. ატომური სიბრტყეების ოჯახთა რაოდენობა შეიძლება იყოს უსასრულო მაგრამ პრაქტიკულად განიხილებიან ატომური სიბრტყეები მიღერის ინდექსების მცირე მნიშვნელობებით.



სურ.2. Si-ის ექსპერიმენტული ნიმუშების რენტგენული დიფრაქტოგრამები:

ა – ეტალონი, ბ – მეტალურგული Si, გ – გაწმენდილი ამონტევით ნიმუში 2 (ცხრ.1).

ექსპერიმენტული Si ნიმუში №2-თვის 99.99%-%-ის სისუფთავით სიბრტყეთა შორის მანძილი და კუთხეები, რიმელიც შეესაბამება დიფრაქტოულ მაქსიმუმებს პრაქტიკულად თანხვედრაშია Si-ის ეტალონის მონაცემებთან. სილიციუმის სისუფთავეზე ერთმნიშვნელოვან დასკვნას გვაძლევს დამატებით დიფრაქტოულ მაქსიმუმების ფარდობითი ინტენსივობის ინფორმაცია. გაწმენდილი Si ნიმუშებისათვის ეტალონურს ემთხვევა არა მარტო დიფრაქტოული მაქსიმუმების მდგარეობა, არამედ მათი დამახასიათებელი ინტენსივობაც.

## ცხრილი 2. სიბრტყეთაშორის მანძილები და ძირითადი ხაზების ინტენსივობა Si-ის რენტგენოდიფრაქტოგრამაზე.

| Si-ის ნიმუშები | ეტალონი [3] | 1          | 2          | 3          | 4          |
|----------------|-------------|------------|------------|------------|------------|
| სიბრტყეთა      | 3,138/100   | 3,1467/100 | 3,1467/100 | 3,1486/100 | 3,1486/100 |
| შორისი         | 1,920/60    | 1,9246/60  | 1,9253/60  | 1,926/60   | 1,9253/60  |
| მანძილები/     | 1,63/35     | 1,6407/35  | 1,6413/35  | 1,6413/35  | 1,6413/35  |
| ინტენსივობა    | 1,357/8     | 1,3598/8   | 1,3605/8   | 1,3609/8   | 1,3609/8   |
|                | 1,246/13    | 1,2476/13  | 1,2482//13 | 1,2482/13  |            |

ცხრილ 2-ში მოყვანილია რენტგენოგრამაზე ასახული და კომპიუტერით გამოთვლილი სიბრტყეთაშორის მანძილების მნიშვნელობები. მოყვანილია აგრეთვე ინტენსივობის ხაზების ფარდობითი მნიშვნელობები. სიბრტყეთაშორის მანძილები ცხრილში გამოსახულია ანგსტრომებში. ფარდობითი

ინტენსივობა კი 100 ქულანი ციფრული შეკლით. რენტგენოგრამაზე ხაზების ინდექსები მოყვანილია ცხრილ 2-ში.

თვისობრივი ფაზური ანალიზი ხორციელდება ცნობარის [3] ცხრილის მიხედვით გამოკვლეული სილიციუმის და ეტალონის სიბრტყეთაშორის მანძილის და ხაზების ინტენსივობის შედარების გზით, რომელთა არსებობა (მაღალი ინტენსივობის ხაზები) შესაძლებელია რენტგენოგრამაზე.

აღსანიშნავია, რომ ხაზების ინტენსივობა, რომელიც შეესაბამება სილიციუმის განსაზღვრულ შემადგენლობას, განსხვავებულია სილიციუმის სხვადასხვა ხაზებისათვის. თანხვდრა ხდება ყველახაზებით. რენტგენული ანალიზების შედეგები დასტურდება მიკროსტრუქტურული ანალიზით

ცხრ.1 გვიჩვენებს, რომ სილიციუმი გაიწმინდა უმრავლესი მინარევისაგან ეფექტურად 1.5-3 რიგით. სილიციუმის შემცველობა 99,99% მინარევის ჯამური შემცველობა  $10^{-2}$ % ცდომილების ფარგლებში. ამავე დროს ეს ნარჩენი მინარევები  $10^{-2}$ % არ ფიქსირდება რენტგენოსტრუქტურული ანალიზით, ეს მიუთითებს იმაზე, რომ რენტგენ-სტრუქტურული ანალიზით სილიციუმის სიუფთავის დაღვენა შემოსაზღვრულია 99,99%-%, არ გააჩნიათ საკმარისი მგრძნობიარობა რომ განისაზღვროს მინარევის მცირე რაოდენობა  $<10^{-2}$ %-% და გამოდგება მხოლოდ სისუფთავის ამ დონეზე.

#### ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. И.Р. Шелпакова, А.В. Шаверина, Аналитика и контроль. 2011, т.15, № 2, с.141-150.
2. ლ.გაბრიჭიძე, ე.ხუციშვილი, ნანა ქობულაშვილი, ნურუ ხუციშვილი, თემური გიგიტაშვილი, რამაზ ხარაჭი, გულნარა ურუმაძე, იაგო გუპრეიშვილი, ნოდარ კეკელიძე. მაცნე, ქიმის სერია, 2014, ტ.40, №1, გვ.96-101.
3. Л.И. Миркин. Справочник по рентгеноструктурному анализу поликристаллов. ред. Я.С.Уманский . Изд. физ-мат. литературы, Москва, 1961, с.488.

#### X-RAY STRUCTURAL RESEARCH OF CHEMICAL CONTENT OF SILICON PULLED FROM METALLURGICAL SILICON MELT

Elza Khutsishvili, Nunu Khutsishvili\*, Iago Kupreishvili, Leonti Gabrichidze, Nana Kobulashvili, Neli Gonjilashvili, Gulnara Urushadze, Nodar Kekelidze

Ferdinand Tavadze Institute of Metallurgy and Materials Science

\*Georgian Technikal University  
elzakhutsishvili@yahoo.com

#### SUMMARY

The possibility of X-ray structural analysis for determination of chemical composition of metallurgical Si and silicon pulled from its melt has been established.

#### ИССЛЕДОВАНИЕ ХИМИЧЕСКОГО СОСТАВА КРЕМНИЯ, ВЫРАЩЕННОГО ИЗ РАСПЛАВА МЕТАЛЛУРГИЧЕСКОГО КРЕМНИЯ, МЕТОДОМ РЕНТГЕНОСТРУКТУРНОГО АНАЛИЗА

Э.В.Хуцишвили, Н.Т.Хуцишвили\*, И.Л.Купреишвили, Л.Л.Габричидзе, Н.В.Кобулашвили,  
Н.Д.Гонджилашвили, Г.Г.Урушадзе, Н.П.Кекелидзе

Институт металлургии и материаловедения им. Фердинанда Тавадзе

\*Грузинский технический университет  
elzakhutsishvili@yahoo.com

#### РЕЗЮМЕ

Установлены возможности рентеноструктурного анализа для определения химического состава металлургического кремния и кремния, выращенного из его расплава.

**ძიმიური ტექნოლოგია****მაცნე მინარევების განაწილების ეფექტური პოეზიის მიზანი სილიციუმში  
გეტალურგიული სილიციუმის ნაწილების დაზოგვის დროს**

ნუნუ ხუციშვილი

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
nunuki55@mail.ru**

წარმოდგენილ სამუშაოში შესწავლილია მავნე მინარევების განაწილების ეფექტური კოეფიციენტი მეტალურგიული სილიციუმის ნაღიმიდან ამოწევით მიღებულ სილიციუმის კრისტალში. სამუშაოს შესრულების მიზნით, გამოყენებულ იქნა სილიციუმის მიღების პირველი ეტაპის ნედლური - მეტალურგიული Si (MG-Si). ჩატარდა Si-ის კრისტალის ამოზრდა MG-Si-ს ნაღიმიდან. დადგენილი შემადგენლობის საფუძველზე გამოთვლილ იქნა და განაღიზებული კონტროლდაუქემდებარე მინარევების ეფექტური განაწილების კოეფიციენტი. ნიმუშების თვისებების შესასწავლად გამოყენებული იყო: რენტგენდიფრაქტული, მიკრორენტგენოსპექტრალური და ემისიურ-სპექტრალური გამოსხივების ანალიზები და აგრეთვე ელექტრული თვისებების გაზომვები და მიკროსტრუქტურული ანალიზი.

მზის ენერგეტიკა ძლიერ მიმზიდველია და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსათვის, რადგან შეზღუდულია მომარაგება ენერგიის ორგანული წყაროებით, ტრადიციული ენერგომატარებლებით (ნავთი, გაზი და სხვა). ამის გარდა რთული რელიეფური (მაღალმთიანი) და კლიმატური (დიდოვლობის, ზვავების, მეწყერების) პირობების გამო ბევრი დასახლებული ადგილი (200-ზე მეტი 1000-მდე კომლიანი სოფელი), ორმოცდაათზე მეტი სასზღვრო საგუშავო, მონასტრები და სხვა დღემდე არ არიან ელექტროფიცირებული, ობიექტის სიშორის, ძნელად მისაღვომობის და აქედან გამომდინარე ეკონომიური მიზანშეუწონლობის გამო და თუ ელექტროფიცირებულია ელექტრული საზები ხშირად დიდი ხნით გამოდიან მწყობრიდან [1]. ამიტომ მიზანშეწონილია მზის ელემენტების გამოყენება. ხოლო ფოტოელემენტების, როგორც სხვა თანამედროვე მაღალეფებური ნახევარგამტარული ხელსაწყოების ძირითადი კომპონენტია სილიციუმი [2].

ძნელია შეაფასო სილიციუმის მიღების მიმართულებით კვლევების პრაქტიკული მნიშვნელობა, რადგან სპეციალისტების აზრით სილიციუმი იქნება მოწინავე მასალა უახლოეს ათეულ წლებში, არა მარტო მიკროელექტრონიკაში, მზის ენერგეტიკაში, არამედ სხვა საძებნ კვლევებში დაკავშირებულ კვანტური კომპიუტერების შექმნასთან. ხოლო ნახევარგამტარი ხელსაწყოებისათვის სილიციუმის ვარგისიანობის ერთეულთი ძირითადი კრიტერიუმია ქიმიურ სისუფთავე. ამიტომ მეტად აქტუალურია სილიციუმიდან კონტროლ დაუქვემდებარე მინარევების განდევნასთან დაკავშირებული პრობლემების გამოკვლევა.

კრისტალიზაცია მდნარიდან ფართოდ გამოიყენება ნახევარგამტარული მასალების გასაწმენდად. კონტროლდაუქვემდებარე მინარევების მოშორების შესაძლებლობა დამოკიდებულია მათი განაწილების უფექტურ კოეფიციენტზე სილიციუმში. ნაღიმიდან კრისტალიზაციისას მინარევებისაგან ნივთიერების გაწმენდის ეფექტურობის შეფასების საშუალებას იძლევა განაწილების ეფექტური კოეფიციენტი (k).

წარმოდგენილ სამუშაოს მიზანია მავნე მინარევების განაწილების ეფექტური კოეფიციენტის შესწავლა მეტალურგიული სილიციუმის ნაღიმიდან ამოწევით მიღებულ სილიციუმის კრისტალში.

**ექსპერიმენტული ნაწილი**

სილიციუმის ნაღიმიდან ამოწევით სილიციუმის კრისტალის მიღების ტექნოლოგია აღწერილია წინა სამუშაოში [3]. ექსპერიმენტული სილიციუმის ნიმუშების თვისებების შესასწავლად გამოყენებული იყო: რენტგენო დიფრაქტორული, მიკრო რენტგენო სპექტრალური და ემისიურ-სპექტრალური გამოსხივების ანალიზები, ელექტრული თვისებების გაზომვები და მიკროსტრუქტურული ანალიზი. ელექტრული თვისებების მონაცემები მიღებული იქნა პოლის ეფექტის და ელექტრონწინაღობის გაზომვებიდან კომპენსაციის მეთოდით მუდმივი დენის გამოყენებით. დადგენილი შემადგენლობის საფუძველზე გამოთვლილი იყო ეფექტური განაწილების კოეფიციენტი. ექსპერიმენტული მეტალურგიული სილიციუმი იყო n-ტიპის, ხოლო ამოწევის შემდეგ გადავიდა p-ტიპში.


### ძიღებული შედეგები და განხილვა.

**ეფექტურ განაწილების კოეფიციენტი.** ჩვენს სამუშაოში გამოყენებულ იქნა მეტალურგიული Si (MG-Si) როგორც სილიციუმის მიღების პირველი ეტაპის ნედლეული. მეტალურგიული სილიციუმი იყო 98 წონ% სისუფთავით და 2 წონ% Fe, Al, P, Ca, Cu, Mg, Mn, Ni, Ti, კონტროლ დაუქვემდებარე მინარევებით. ეს მინარევები ხდებიან MG-Si-ში კვარციტიდან და აღდგენით მასალებიდან სილიციუმის აღდგენისას SiO<sub>2</sub>-დან დნობის პროცესში. სილიციუმის კრისტალების ამოწვევისას მინარევები გადანაწილდებიან კრისტალსა და ნაღობს შორის გარკვეული თანაფარდობით და ეს პროცესი ხასიათდება მინარევის განაწილების კოეფიციენტით მყარ და თხევად ფაზებს შორის. განაწილების კოეფიციენტი წარმოადგენს მყარ ფაზაში გახსნილი ნივთიერების კონცენტრაციის ( $C_{\text{ა}}/C_{\text{ო}}$ ) შეფარდებას მის კონცენტრაციასთან თხევად ფაზაში(ნაღობში) ( $C_{\text{ო}}/C_{\text{ა}}$ ):

$$k = C_{\text{ა}}/C_{\text{ო}} \quad (1)$$

იმის და მიხედვით თუ რა ძირითადი კომპონენტი – მინარევის სისტემა გვაქვს  $k$  განაწილების კოეფიციენტი მეტია ან ნაკლებია ერთზე. განაწილების კოეფიციენტი შეიძლება იცვლებოდეს  $10^{-5}$ - $10^{-10}$  ფართო ფარგლებში. განაწილების კოეფიციენტი დამოკიდებულია მთელი რიგი ფაქტორებზე – ძირითადი კომპონენტი – მინარევის ფაზურ დიაგრამაზე, კრისტალიზაციის პირობებზე, კრისტალიზაციის ფრონტის გადაადგილების სიჩქარეზე, თხევადი ფაზის (ნაღობის) არევის ინტესივურობაზე და დიდ როლს თამაშობს კრისტალიზაციური გაწმენდის მეთოდებში. განასხვავებენ წონასწორულ ( $k_0$ ) და ეფექტურ ( $k$ ) განაწილების კოეფიციენტებს. წონასწორულ განაწილების კოეფიციენტით ახასიათებენ ნარევის კომპონენტების განცალკევების ეფექტს კრისტალსა და ნაღობს შორის წონასწორობის ყოველ მომენტში.

ტრადიციული მინარევების მიკრიდიაგრამებს მეტალურგიულ სილიციუმში ძირითადში აქვთ ერთნაირი დამახასიათებელი სახე, ძირითადად უკლესი ტიპისაა და შეიძლება გამოვხატოთ ზოგადად შემდეგი სახით (სურ.1).



სურ.1. სილიციუმ-ძირითადი მინარევების (Fe, Al, P, Ca, Cu, Mg, Mn, Ni, Ti) სისტემის ფაზური დიაგრამების განხოგადობული სახე.

ჩვეულებრივ უმრავლესი ნივთიერება გახურებისას დნება, ე.ი გადადის მყარ მდგომარეობიდან თხევადში. ზოგიერთი მასალა მათ შორის სილიციუმი, ამჟღავნებს რეტროგრადული დნობის თვისებას. ეს ხდება როცა სილიციუმი შეიცავს მასში გახსნილ გარკვეული მინარევების მაღალ კონცენტრაციას. რეტროგრადული (retrogradus – ლათინურად “ქვემოთ მიმავალი”) ეწოდება სოლიდუს, რომელიც მოტრიალდება კომპონენტის ორდინატას კენტ ტემპერატურის დაწევისას. რეტროგრადული დნობის დროს წარმოიქმნება თხევადი ფაზა, რომელიც მკვეთრად განსხვავდება თავისი ქიმიური შემადგენლობით საწყისი მყარი ხსნარისაგან. რეტროგრადული დნობის დროს მყარი ხსნარიდან გამოიყოფა ადვილად დნობადი ნივთიერებები.

ამრიგად უმრავლესი მინარევების ხსნადობა სილიციუმში არ არის დიდი, აქვს განსაკუთრებული ტემპერატურული დამოკიდებულება - შებრუნებული ხსნადობა (retrograde) და აქვს მაქსიმუმი დნობის ტემპერატურის დაბალ ტემპერატურებზე (სურ. 1). ამსთანავე მინარევის ხსნადობა მყარ და თხევად ფაზებში სხვადასხვაა. როგორც წესი მინარევების ხსნადობა იზრდება მყარი ფაზიდან თხევად ფაზაში

გადასვლისას. სილიციუმში მინარევის მაქსიმალური შესაძლო ხსნადობა არ აღემატება  $2.10^{21}$  ატ/სმ<sup>3</sup>(3ატ%) [4-6]. ამიტომ შესაძლებელია მინარევი-სილიციუმის სისტემის მიმსგავსება ძლიერ განზაგებულ მყარ ხსნართან.

ექსპერიმენტალურ მეტალურგიულ სილიციუმში შემავალი მინარევების წონასწორული განაწილების კოეფიციენტები მოყვანილია ცხრილ 1-ში.

**ცხრილი 1.** მეტალურგიულ სილიციუმში შემავალი მინარევების წონასწორული განაწილების კოეფიციენტები

| ინარევი                    | Al                | Mg                  | Ca                | Fe                | Mn                  | Ni                | Ti                  | Cu                | C                 | O <sub>2</sub> |
|----------------------------|-------------------|---------------------|-------------------|-------------------|---------------------|-------------------|---------------------|-------------------|-------------------|----------------|
| სეგრეგაციის<br>კოეფიციენტი | $2 \cdot 10^{-3}$ | $3.2 \cdot 10^{-6}$ | $8 \cdot 10^{-3}$ | $8 \cdot 10^{-6}$ | $1.3 \cdot 10^{-5}$ | $1 \cdot 10^{-4}$ | $2.0 \cdot 10^{-6}$ | $4 \cdot 10^{-4}$ | $7 \cdot 10^{-1}$ | 1.25-1.40      |

სილიციუმში უმრავლესი მინარევების (Fe, Al, P, Ca, Cu, Mg, Mn, Ni, Ti) განაწილების კოეფიციენტები თერმოდინამიკურ წონასწორობისას  $k_0 < 1$ , ესე იგი მათ ”ურჩევნიათ” დარჩენ სითხეში. ეს ნიშავს, რომ მათი ხსნადობა ბევრად მეტია თხევად ვიდრე მყარ სილიციუმში. მინარევის წონასწორული განაწილების კოეფიციენტი სილიციუმის დნობის ტემპერატურაზე ახასიათებს მაქსიმალური ხსნადობის ცვლილების ტენდენციას მყარ ფაზაში: რაც უფრო ნაკლებია განაწილების კოეფიციენტი მით ნაკლებია მაქსიმალური ხსნადობა.

თუ მინარევის მასის გადატანა ფენაში (ნადნობის სისქე კრისტალიზაციის ფრონტთან) დიფუზიური ხასიათისაა მაშინ წონასწორული ( $k_0$ ) და ეფექტური ( $k$ ) განაწილების კოეფიციენტები დაკავშირებულია შემდეგნაირად.

$$k = \frac{k_0}{k_0 + (1 - k_0)e^{-v\delta/D}} \quad (2)$$

ასეთი განტოლებით დაკავშირებულია ეფექტური განაწილების კოეფიციენტი კრისტალის ზრდის პირობებთან. ამ განტოლებაში  $\Delta = v\delta/D$ -უგანზომილო სიდიდეა და ეწოდება კრისტალიზაციის დაყვანილი სიჩქარე,  $v$ —კრისტალიზაციის სიჩქარე,  $D$ —ნადნობში მინარევის კონცენტრაციაა,  $\delta$ —დამოკიდებულია კრისტალის ბრუნვების რიცხვზე [7]. განაწილების წონასწორული კოეფიციენტი დამოკიდებულია მხოლოდ კომპონენტების ბუნებაზე. ე.წ. დიფუზიური ფენის სისქე მ იცვლება 0.1 – 0.001სმ ფარგლებში. (2) ფორმულიდან ჩანს, რომ კრისტალიზაციის დაყვანილი სიჩქარის ზრდა გადაადგილებს ეფექტურ განაწილების კოეფიციენტს ერთისაკენ მიუხედავად იმისა თუ როგორია წონასწორული განაწილების კოეფიციენტი და პირიქით კრისტალიზაციის დაყვანილი სიჩქარის შემცირება  $k$ -ს აახლოებს  $k_0$ -თან. აქედან გაწმენდის პროცესის ეფექტურობის გაზრდისათვის აუცილებელია ეფექტური განაწილების კოეფიციენტი მაქსიმალურად მოუახლოვოთ წონასწორულს. ეს შეიძლება მივაღწიოთ კრისტალიზაციის დაყვანილი სიჩქარის შემცირებით. იგივე ეფექტს შეიძლება მივაღწიოთ თუ გაწმენდას ჩავატარებთ კრისტალიზაციით თხევადი ფაზის ინტენსიური არევის პირობებში. ამ შემთხვევაში მინარევის მოცილება კრისტალიზაციის ფრონტიდან (შემთხვევა  $k_0 < 1$ ) ხორციელდება არა დიფუზიის ხარჯზე თხევად ფაზაში, არამედ კონვექციის ხარჯზე. ეს მნიშვნელოვნად ამცირებს მინარევის შემცველობას კრისტალიზაციის ფრონტზე შედარებით იმ შემცველობასთან, რომელიც მიიღება არევის გარეშე და ამცირებს ეფექტურ განაწილების კოეფიციენტს, აახლოებს რა მას წონასწორულ განაწილების კოეფიციენტთან. როგორც ფორმულა (2)-დან ჩანს  $k$  პირველ მიახლოებაში დამოკიდებულია პროცესის ჩატარების პირობებზე: არის კრისტალის ზრდის სიჩქარის და ბრუნვის რიცხვის (ნადნობის არევის პირობები) ფუნქცია. ამრიგად ზემოთქმულიდან ჩანს, თუ რა დიდ როლს თამაშობს ეფექტური განაწილების კოეფიციენტი ნახევარგამტარის გაწმენდის პროცესში. ამიტომ ჩვენი ექსპერიმენტული ნიმუშებისათვის სილიციუმში მინარევის შემადგენლობის საფუძველზე გამოთვლილი იყო ეფექტური განაწილების კოეფიციენტი.

ექსპერიმენტული Si-ის ნომუშებისათვის გამოთვლებმა აჩვენა, რომ სილიციუმის ძირითადი მინარევის ეფექტური განაწილების კოეფიციენტი აგრძელებს  $k_0 \leq k \leq 1$  უტოლობას და იზრდება ამოწევის სიჩქარის ზრდასთან და უახლოვდება 1-ს. ეს შედეგი თანხმობაშია ბარტონ-პრიმა სლიხტერის თეორიასთან [7]. ჩვენს შემთხვევაში სეგრეგაციას აქვს დიდი ეფექტი და ის ძლიერ მგრძნობიარეა ამოწევის სიჩქარისადმი.

მინარევის განაწილება სხმულის გასწვრივ კრისტალის მიმართული გამჭურებისას. კრისტალის ამოწევისას ნაღნობიდან ნახევარგამტარის სხმულის გასწვრივ მინარევის განაწილების მათემატიკური აღწერისათვის დაშვებები პირველად მქაფიოდ ჩამოყალიბებული იყო პფანის მიერ [7]. ესენი არიან:

1. მყარ ფაზაში დიფუზიური პროცესები შეიძლება უგულველყოფილიყოს.
2. კომპონენტების გადანაწილება თხევად ფაზაში ხდება მაშინვე ე.ი ხდება თხევადი ფაზის სრული შერევა.
3. განაწილების ეფექტური კოეფიციენტი  $k$  მუდმივი სიდიდეა. ეს დასაშვებია მინარევის მცირე კონცენტრაციისას.
4. მასალის მოცულობები არ იცვლება გაღნობისას და გამჭურებისას.
5. არ ხდება გაცვლა თხევად ფაზებსა და აირად ფაზებს შორის.

კრისტალის ამოწევისას ნაღნობიდან მინარევის განაწილება სხმულის სიგრძის გასწვრივ აიწერება შემდეგი ფორმულით [7]:

$$C_{\text{my}} = k C_0 (1 - g)^{k-1} \dots \quad (3),$$


სადაც,  $g = V_{\text{გ}} / V_0$ ,  $g$  არის საწყისი მოცულობის დაკრისტალებული ნაწილი,  $V_{\text{გ}}$  — დაკრისტალებული ფაზის მოცულობა,  $V_0$  — თხევადი ფაზის საწყისი მოცულობა.

როცა  $g=0$  მინარევის კონცენტრაცია ნაღნობში  $C$  ტოლია მისი საწყისი მნიშვნელობისა ნაღნობში  $C_0$ .

ეს არის გალივერის განტოლება. როცა  $k < 1$  ფორმულა (3)-შეიძლება გადავწეროთ ასე:

$$C_{\text{my}}(X) \cong \frac{k C_0}{1-g} \dots \quad (4)$$

სადაც  $k \cdot C_0$  — მუდმივი სიდიდეა. ფორმულა (4) გვიჩვენებს, რომ  $C_{\text{გ}}(X)$  უკუპროპორციულია ნაღნობის დარჩენილი ნაწილისა. სილიციუმის მყარ ფაზაში მინარევის კონცენტრაციის დამოკიდებულება გამჭურებული ნაწილისაგან ფარდობით ერთეულებში ნაჩვენებია სურ.2.



სურ.2. ამოზრდილ სილიციუმში მინარევების განაწილება სხმულის გასწვრივ.

### დასკვნა

ექსპერიმენტული ნიმუშებისათვის სილიციუმში დაღვენილი მინარევების შემადგენლობის საფუძველზე გამოვლილი იქნა ეფექტური განაწილების კოეფიციენტი. აღმოჩნდა, რომ სილიციუმის ძირითადი მინარევების ეფექტური განაწილების კოეფიციენტი  $k_0 \leq k \leq 1$  უტოლობას და იზრდება ამოწევის სიჩქარის ზრდასთან და უახლოვდება 1-ს დიდი სიჩქარეებისათვის.

მაღლობას ვუხდით თემის ხელმძღვანელს  
ბატონ ნოდარ კახელიძეს  
რჩევებისთვის და დახმარებისთვის.

**ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА**

1. K.Kobakhidze at alias, Proc.of Renewable EnergyWorld Congress, Scotland-Glasgow, 2008.
2. W.Koch, A.L.Endros, D.Franke, C.Haßler, J.P.Kalejs and H.J.Moller. Handbook of Photovoltaic Science and Engineering. Edited by A. Luque and S. Hegedus. John Wiley & Sons, Ltd ISBN: 0-471-49196-9,2003.
3. ლ.გაბრიჭიძე, ე.ხუციშვილი, ნ.ქობულაშვილი, ნ.ხუციშვილი, თ.გიგიჭაშვილი, რ.ხარატი, გ.ურუმაძე, ი.კუპრეიშვილი, ნ.კვეთიძე. მაცნე, ქმითს სერია, 40, №1, 96-101, 2014.
4. С.С.Горелик, М.Я.Дашевский Материаловедение полупроводников и диэлектриков: Учебник для вузов. – М.: МИСИС, 2003. – 480 с.
5. В.С.Земсков.Физико-химические основы легирования полупроводников.изд.Наука, Москва,1967,365 с.
6. F.A.Trumbore. *Bell Syst Tech J*,v.39p.205-33,1960.
7. J.A. Burton, R.C. Primm, W.P.Slichter. *J. Chem.Phys.*,1953,21,1987

**DETRIMENTAL IMPURITIES EFFECTIVE DISTRIBUTION COEFFICIENT  
IN Si AT PULLING FROM MG-Si MELT**

Nunu Khutsishvili

Georgian Technical University

nunuki55@mail.ru

**SUMMARY**

Effective distribution coefficient of detrimental impurities in Si at the crystal pulling from MG-Si has been studied in the presented paper. The content of contaminating impurities in Si before and after the directional crystallization have been established by X-ray diffraction method, micro X-ray spectral analysis and emissive spectral analysis. Electrical properties and microstructure analysis of Si experimental samples have been implemented too. *n*-MG-Si goes into *p*-type Si.

**ЭФФЕКТИВНЫЙ КОЭФФИЦИЕНТ РАСПРЕДЕЛЕНИЯ ВРЕДНЫХ ПРИМЕСЕЙ В  
КРЕМНИИ ПРИ ВЫТАГИВАНИИ ИЗ РАСПЛАВА МЕТАЛЛУРГИЧЕСКОГО  
КРЕМНИЯ**

Н.Т.Хуцишвили

Грузинский Технический Универитет

Nunuki55@mail.ru

**РЕЗЮМЕ**

В представленной работе изучен эффективный коэффициент распределения вредных примесей в кремнии при его вытягивании из расплава MG-Si. На основании данных по составу примесей был вычислен эффективный коэффициент распределения неконтролируемых примесей в вытянутом кремнии. Свойства экспериментального кремния были изучены методами рентгенодифракционного, микрорентгеноспектрального, эмиссионного спектрального и микроструктурного анализа, а также измерениями электрических свойств. *n*-MG-Si после вытягивания переходит в *p*- тип.

**ძიმიური ტექნოლოგია****მეტალურგიული სილიციუმის ნადნობიდან ამონიუმის მეთოდით  
რაზინირებული სილიციუმის თვისებების გამოკვლევა**

ლეონტი გაბრიელიძე, ელზა ხუციშვილი, ნანა ქობულაშვილი, ნუნუ ხუციშვილი\*, ნელი გორგილაშვილი, გულნარა ურუშაძე, იაგო კუპრევიშვილი, ნოდარ კაპავაძე

**ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნების ინსტიტუტი**

\*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

*elzakhutsishvili@yahoo.com*

გამოკვლეულია 98%-იანი მეტალურგიული სილიციუმის ნადნობიდან მიღებული სილიციუმის კრისტალების თვისებები. ჩატარდა რენტგენო- და ემსიურსკექტრული ახალი ზებულონი თვისებები შესწავლით იქნა პოლის ეფექტის და წინაღობის გაზომვებით. მიკროსტრუქტურის შესწავლის მიზნით განხორციელდა კრისტალის ქიმიური მოწამვება 30%KOH-ის ხსნარში. დადგენილია სილიციუმის კრისტალების თვისებების ცვლილება სილიციუმის ამონიუმის ხინჯარისგან დამოკიდებულებით.

”შზიური” სილიციუმის მიღების თანამედროვე მეთოდების დამუშავება ტარდება ისეთი მიმართულებით, როგორიცაა ტრადიციული მეთოდების სრულყოფა, სილიციუმის პირდაპირი მიღება გამწმენდი აირადი ფაზის ავლით და იაფი მეტალურგიული სილიციუმის რაფინირება. დიდი ძალის სხმევა იყო ფოკუსირებული სილიციუმის ტექნოლოგიის გასაუმჯობესებლად [1-7]. მაგრამ წარმატება მიღწეული იქნა მხოლოდ ნაწილობრივ. კრისტალიზაციის მეთოდი ფართოდ გამოიყენება ნახევარგამტარული მასალების გასაწმენდად. როგორც წესი ეს მეთოდი გამოიყენება ნივთიერების გაწმენდის ბოლო საფეხურზე. წინამდებარე სამუშაოს ძირითადი მიზანია მეტალურგიული სილიციუმის ნადნობიდან ამონიუმით მიღებული სილიციუმის კრისტალის თვისებების შესწავლა.

**ექსპერიმენტული ნაწილი**

სილიციუმის მისაღებად  $\text{SiO}_2$ -ს ქვიშას აღადგენენ ქოქსით რკალურ ღუმელში დაახლოებით  $1800^{\circ}\text{C}$ -ის ტემპერატურაზე. ღუმელში მიმდინარე რამოდენიმე შეულევური რეაქციის შედეგად მიიღება მეტალურგიული სილიციუმი. მეტალურგიული სილიციუმის დამუშავების პროცესის თანხლები მინარევები დამოიდებულები არიან საწყისა მასალის ხარისხზე. მაგალითად, 1კგ სილიციუმის მისაღებად იხრჯება  $\sim 2.5$ კგ კვარციტი,  $\sim 1.2$ კგ ნახშირი,  $\sim 0.14$ კგ ნავთობის კრესი,  $\sim 0.2$ კგ ქვანახშირის აირის კონცენტრატი [8]. ჩვენს მიერ გამოიყენებული ტექნიკური სილიციუმის სისუფთავე არის 9 8% ფარგლებში. აღდგენილი კვარცის ქვიშიდან კარბოთერმული მეთოდით ტექნიკური სილიციუმის წარმოადგენს პოლიკრისტალური სტრუქტურის სილიციუმის ბლოკებს, სადაც ძირითადი მინარევია ნახშირბადი. მეტალურგიულ სილიციუმში კაზმიდან გადადიან დანარჩენი მინარევები: Fe, Al, Au, B, P, Ca, Cr, Cu, Mg, Mn, Ni, Ti, V (ჯამში 2წონ %). მეტალურგიული სილიციუმის ნადნობიდან ამონიუმით სილიციუმის კრისტალის მიღების ტექნოლოგია აღწერილია წინა სამუშაოში [9]. სილიციუმის თვისებების შესასწავლად გამოიყენებული იყო: რენტგენო და ემსიურ-სპექტრული ანალიზები გამოსხივების რკალური აგზებით, ელექტრული თვისებების გაზომვები და მიკროსტრუქტული ანალიზი. ელექტრული თვისებების მონაცემები მიღებული იქნა პოლის ეფექტის და ელექტრონული ანალიზის გაზომვებიდან კომპუნისაციის მეთოდით. ექსპერიმენტული ნიმუშებისათვის დამახსასიათებელი მიკროსტრუქტურა შესწავლელ იქნა მიკროსკოპ MIM-7- და Neophont-ზე. მიკროსტრუქტურის გამოსავლენად გამოიყენებული იქნა ქიმიური მოწამვლა დაფუძნებული სტრუქტურული შემადგენლების და კრისტალის ნაწილების სხვადასხვა ქიმიურ აქტივობაზე. კერძოდ, ნიმუშების მოწამვლა ტუტიან 30%KOH-ის ხსნარში  $50\text{-}100^{\circ}\text{C}$ -ზე, 1-5 წუთამდე სწრაფად ავლენს სტრუქტურის დეტალებს.

**მიღებული შედეგები და განხილვა**


ელექტრული თვისებები. მეტალურგიული სილიციუმის ნადნობიდან ამონიუმით მიღებული სილიციუმის ელექტრული თვისებები და გაწმენდის შედეგები მოყვანილია ცხრილში 1.

## ცხრილი 1. სილიციუმის ექსპერიმენტული ნიმუშების ელექტრული თვისებები

| ნიმუში<br>ნომერი | Si,<br>%<br>წონ% | დენის<br>მატარებელთა<br>კონცენტრაცია, $p$ ,<br>$n$ , $\text{სმ}^{-3}$ | კუთრი<br>ელექტრული<br>წინაღობა,<br>$\rho$ , Ω სმ | დენის<br>მატარებელთა<br>ძვრაღობა, $\mu$ ,<br>$\text{სმ}^2/\text{გ} \cdot \text{წ}$ | გამტა-<br>რობის<br>ტიპი | Si-ის<br>ამოწვევის<br>სიჩქარე,<br>მმ/წუთ |
|------------------|------------------|-----------------------------------------------------------------------|--------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------|-------------------------|------------------------------------------|
| MG-Si            | 98.30            | $1.2 \cdot 10^{18}$                                                   | 0.22                                             | 25                                                                                 | $n$                     | -                                        |
| 1                | 99,930           | $8 \cdot 10^{16}$                                                     | 53                                               | 417                                                                                | $p$                     | 0,15                                     |
| 2                | 99.992           | $4.5 \cdot 10^{17}$                                                   | 35                                               | 480                                                                                | $p$                     | 0,25                                     |
| 3                | 99,800           | $1.3 \cdot 10^{16}$                                                   | 50                                               | 240                                                                                | $p$                     | 0,25                                     |
| 4                | 99.980           | $2 \cdot 10^{16}$                                                     | 39                                               | 510                                                                                | $p$                     | 0,3                                      |
| 5                | 99,950           | $5 \cdot 10^{16}$                                                     | 1                                                | 133                                                                                | $p$                     | 0,35                                     |

მიკროსტრუქტურულ და ემისიურ-საექტრული ანალიზებთან სრულ შესაბამობაშია ელექტრული თვისებების გაზომვების შედეგები.

**მიკროსტრუქტურა** სურ.1-ზე მოყვანილია ნაღნობიდან ამოწვევის მეთოდით მიმართული გამყარებით მიღებული ექსპერიმენტული ნიმუშების გაწმენდილი Si-ის მიკროსტრუქტურა კრისტალის ამოწვევის სხვადასხვა სიჩქარის დროს. თუ საწყისი ტექნიკურ სილიციუმის მიკროსტრუქტურაში დაიკვირვება კონტროლდაუქვემდებარე მინარევების ფაზების ჩანართების კვალი, გაწმენდის პროცესში ფაზის ჩანართები თითქმის ქრება მთელ მოცულობაში.



სურ.1 სხვადასხვა სისუფთავის სილიციუმის ექსპერიმენტული ნიმუშების მიკროსტრუქტურა.

ა) MG-Si, x100; ამოწვევის სიჩქარე, მმ/წთ: ბ) 0,15, x50; გ) 0,25, x50; დ) 0,3, x100.

როგორც სურ.1-დან ჩანს ამოწვევის სიჩქარის გაზრდით მიკროსტრუქტურა ხდება ნაკლებ დეფექტიანი და უფრო მსხვილმარცლოვანი. 0.15 მმ/წთ სიჩქარით ამოწვეულ სილიციუმში ჯერ კიდევ დაიკვირვება მეორე ფაზის ჩანართები. სილიციუმის ამოწვევის სიჩქარის გაზრდით მეორე ფაზის ჩანართები მცირდება და 0.30 მმ/წთ-ით ამოწვეულ კრისტალებში მეორე ფაზის ჩანართები ქრება. ეს დაკავშირებულია სილიციუმის გაწმენდის ხარისხის გაუმჯობესობასთან.

ცხრ.1 გვიჩვენებს, რომ სილიციუმი გაიწმინდა უმრავლესი მინარევისაგან ეფექტურად 1.5-3 რიგით. მინარევის ჯამური შემცველობა შეადგენს  $10^{-2}$  წონ%.

#### დასკვნა

ამრიგად მეტალურგიული სილიციუმის ნაღნობიდან ამოწვეული რაფინირებული სილიციუმის თვისებების შესწავლამ გვიჩვენა, რომ ამოწვევის სიჩქარის გაზრდით კრისტალის მიკროსტრუქტურა

ხდება ნაკლებად დეფექტური და რომ უმრავლესი მინარევებიდან გაწმენდა ყველაზე კარგად და ეფექტურად ხორციელდება 0,3 მმ/წთ სიჩქარით.

#### ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. *S. Hudelson , B. K. Newman , S. Bernardis , D. P. Fenning , M. I. Bertoni , M. A. Marcus , S. C. Fakra, B.Lai T. Buonassisi. Adv. Mater., v.22, p.3948–3953, 2010.*
2. *K. Tang , G. M. Tranell , E. J. Øvrelied , M. Tangstad , in Crystal Growth of Silicon for Solar Cells (Eds: K. Nakajima , N. Usami ), Springer , Berlin, 2010.*
3. *D. P. Fenning, J. Hofstetter, M. I. Bertoni, S. Hudelson, M. Rinio et al. Appl. Phys. Lett. 98, 162103, 2011; doi: 10.1063/1.3575583.*
4. *Fritz Kirscht, Matthias Heuer, Martin Kaes, Til Bartel, Terry Jester, Clemens Hofbauer, Alain Turenne. Metallurgically refined silicon for photovoltaics.Third International Symposium NES-2013, August 6-8, 2013,Almaty . Kazakhstan.*
5. *Jing-wei Li, Zhan-cheng Guo, Hui-qing Tang, Jun-cheng Li, High Temperature Materials and Processes. v. 0, Issue 0, p. 1–8, ISSN (Online) 2191-0324, ISSN (Print) 0334-6455, DOI: [10.1515/htmp-2012-0157](https://doi.org/10.1515/htmp-2012-0157), April 2013*
6. *H. Kazuhiro, Y Kenkichi, S.Yasuhiko, K.Yoshihide, A.Matao. Pat-ent of Japan. № 08-288219. Publ. 26.05.1998.*
7. *J.C.S. Pires, et al. Solar Energy Materials & Solar Cells 79 ,p. 347–355. 2003.*
8. *Э.С.Фалькевич, Э.О.Пульнер, И.Ф.Червоный. Технология полупроводникового кремния. М.: Металлургия, 1992,408с.*
9. *ლ.გაბრიჯიძე, ე.ხუციშვილი, ნანა ქობულაშვილი, ნუნუ ხუციშვილი, ნელი გონჯილაშვილი, რამბა ხარაჭი, გულნარა ურუმაძე, იაგო კუპრეიშვილი, ნოდარ კეკელიძე. მაცნე, ქიმიის სერია, 40, №1, 96-101, 2014.*

#### RESEARCH OF PROPERTIES OF REFINED SILICON BY THE METHOD OF PULLING FROM METALLURGICAL SILICON MELT

Leonti Gabrichidze, Elza Khutsishvili, Nana Kobulashvili, Nunu Khutsishvili\*, Neli Gonjilashvili, Gulnara Urushadze, Iago Kupreishvili , Nodar Kekelidze

*Ferdinand Tavadze Institute of Metallurgy and Materials Science*

*\*Georgian Technikal University  
elzakhutsishvili@yahoo.com*

#### SUMMARY

Properties of silicon crystals obtained by pulling from melt of 98% metallurgical silicon have been studied. X-ray spectral microanalyzer, emissive spectral analysis, electric properties measurements, and microstructura investigations have been applied. The dependence of investigated properties on the velocity of crystal pulling has been established.

#### ИССЛЕДОВАНИЕ СВОЙСТВ КРЕМНИЯ, РАФИНИРОВАННОГО ВЫТЯГИВАНИЕМ ИЗ РАСПЛАВА МЕТАЛЛУРГИЧЕСКОГО КРЕМНИЯ

ლ.ლ.გაბრიჯიძე, ე.ვ.ხუციშვილი, ნ.ვ.კობულაშვილი, ნ.თ.ხუციშვილი\*, ნ.დ.გონჯილაშვილი,  
გ.გ.ურუშაძე, ი.ლ.კუპრეიშვილი, ნ.პ.კეკელიძე

*Институт металлургии и материаловедения им. Фердинанда Тавадзе*

*\*Грузинский технический университет  
elzakhutsishvili@yahoo.com*

#### РЕЗЮМЕ

Исследованы свойства кристаллов кремния, полученного методом вытягивания из расплава 98%-ного металлургического кремния. Проведены рентгеноспектральный, эмиссионный спектральный и микроструктурный анализы. Электрические свойства изучены измерениями эффекта Холла и сопротивления. Установлено изменение свойств кристаллов кремния в зависимости от скорости вытягивания.

## მიმღები ტექნიკური განვითარების

**შენადულნაკმიანი საჯავშნე ფოლადის კონსტრუქციის კოროზიული მედიების გათუმას ნოტიო სუბტროპიკულ ატმოსფეროში**

დალი რამაზაშვილი, ლია ახვლედიანი, რუსულან ბაგრატიონი, გურამ დადიანიძე, ნოდარ ლუარსაბიშვილი, მანანა მიქაბერიძე, ვაჟა ცინცაძე

**ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი**

შესწავლილია შენადულნაკმიანი 30XHMA ტიპის საჯავშნე ფოლადის კონსტრუქციის კოროზიული მედიების და დაზიანების მიზეზები ბათუმის ნოტიო სუბტროპიკულ ატმოსფეროში. დადგენილია, რომ ხელით კლექტრორკალური შედუღებისთვის გამოყენებული იყო მაღალღეგირებული ფოლადის შესაფერდებლი Х18Н9 ტიპის ელექტროდი და დარღვეული იყო შედუღების ტექნილოგია. შედეგად მირითადი ფოლადი, თერმული გაგლენის ზონა, ნაკერი და დანალუდი ლითონი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ქიმიური შედგენილობით, სტრუქტურით და მექანიკური თვისებებით. მათ შორის კლექტროდული პოტენციალების სხვაობა ზღვის წყლის თხელ შრეებში იწვევდა გაღვანური პროცესების გააქტიურებას და კონსტრუქციის რღვევას შედუღების ხაზის გასწვრივ. ამასთან დარღვეული იყო შედუღების რეჟიმი, რამაც გამოიწვია მიკრო- და მაკრობზარების წარმოქმნა და ღრეულოვანი კოროზიული მედიების განვითარება. დადგენილია, რომ 30XHMA ფოლადის შენადულნაკმიანი კონსტრუქციის კოროზიული მედიების გასზრდელად მიზანშეწონილია НИАТ-3М მარკის სტანდარტული ელექტროდის გამოყენება შესაბამისი ტექნილოგიის დაცვით.

სამუშაოს მიზანი იყო ბათუმის ნოტიო სუბტროპიკულ ატმოსფეროში ექსპლოატირებული ფოლადის ფურცლებისგან ხელით ელექტრორკალური შედუღების მეთოდით დამზადებული კონსტრუქციის კოროზიული მედიების და დაზიანების მიზეზების დადგენა. საკლევად გამოყენებული იყო 0,1 გ<sup>2</sup> ფართის ტექნილოგიური მოწმე ნიმუშები შუაზე ნაკერით. ფურცლის სისქე შეადგენდა 0,5 სმ-ს. ფოლადი განეცუთვნება საშუალო ნახშირადიან (0,317%) ქრომით (1,8%), ნიკელით (0,666%) და მოლიბდენით (0,473%) ეკონომიურადლეგირებულ და ბორით, ვანადიუმით და ტიტანით მიკროლეგირებულ 30XHMA ტიპის მაღალმტკიცე ფოლადების კლასს.

რენტგენოსპექტროალური მიკროანალიზით ფოლადის ზედაპირზე ელემენტების განაწილების შესწავლით დადგინდა, რომ ფუძე ლითონის შედუღების ხაზიდან 150 მკმ სიგანის ზონაში ქრომის და ნიკელის შემცველობა შესაბამისად ტოლია 1,5 და 0,45 %-ის, რაც თითქმის იდენტურია ფუძე ლითონში ქიმიური ანალიზით დადგენილი შემცველობისა. სხვაობა გამოწვეულია შედუღების პროცესში განვითარებული თერმული პროცესებით. გარდამავალ ზონაში დაფიქსირდა მნიშვნელოვნად მეტი და სხვადასხვა წერტილში განსხვავებული რაოდენობის ელემენტები: ქრომის მინიმალური რაოდენობა – 11,4%, ხოლო ნიკელის – 2,6%. დანადუღ ნაკერში ზოგ უბანზე მათი შეცველობა აღწევდა 16,3 და 8,9 2%-ს შესაბამისად.

მირითადი ლითონის სისალე შეადგენს 51 HRC –ს. თერმული გავლენის ზონის სისალე 45,5 HRC-დან ეცემა 36,5 HRC-მდე; გარდამავალი ზონის სისალეა 53,5 - 54 HRC, ხოლო გარდამავალ ზონასა და ნაკერს შორის საზღვარზე მერყეობს 29,5 – 37,5 HRC –ს ფარგლებში. დანადუღ ნაკერის სისალე 22 – 24 HRC – ს ზღვრებშია.

ფუძე ლითონის მიკროსტრუქტურა მირითადად მარტენიტულია მცირე რაოდენობის ბენიტით, ხოლო ნაკერის მიკროსტრუქტურა წარმოადგენს თხევადი ლითონის სწრაფი კრისტალიზაციის შედეგს, რის გამოც ავლენს დაბალ სისალეს. ამასთან ნაკერში შეინიშნება შავი ფერის წილის ჩანართები. შელღობის ზონის მიკროსტრუქტურა ფერიტო-აერლიტურია ფერიტის ვიდანშტეტური მორფოლოგიით, რის გამოც სასიათდება დაბალი სისალით. მირითადი ფოლადის მხარეს მიკროსტრუქტურა თანდათან გადადის ბენიტურ და მარტენიტულ სტრუქტურაში. შელღობის ზონაში, ე.წ. გარდამავალ შრეში, მირითად ლითონთან შედარებით უფრო მაღალი სისალე იმის მაჩვენებელია, რომ ამ ზონაში მიღებულია ფუძე ფოლადზე უფრო მაღალლეგირებული შენადნობი. სავარაუდოდ კონსტრუქციის დაზიანებისთვის ყველაზე სახიფათო იქნება შელღობის ზონა.

დანადგარის დაზიანების მიზეზების დასაზუსტებლად შესწავლილი იქნა ელექტროდული პოტენციალები შენადულნაკმიანი ნიმუშების სხვადასხვა უბნებზე. კვლევა ხორციელდებოდა ბათუმის აკვატორიიდან აღებულ ბუნებრივ ზღვის წყალში ჩამირვისას, მის თხელ შრეებში და ელექტროლიტური

გასაღების წერის შეხების წერტილში. შედარების ელექტროდად გამოყენებოდა ქლორვერცხლის ელექტროდი. შემდგომში პოტენციალები გადაითვლებოდა წყალბადის სტანდარტული ელექტროდის მიმართ.

ნიმუშების ნაწილი გამოიცადა ბათუმში ღარი ატმოსფერულ სტენზე და ზღვის წყალში მუდმივი ჩაბირვის პირობებში. კოროზიის სიჩქარე შეფასდა მასის დანაკარგით დროში ფართის ერთეულიდან.

ფოლადის ზედაპირი ექსპლოატაციაში გაშვებამდე დაფარული იყო რუხი ფერის მქრქალი ხენჯით. ზღვის წყალში პოტენციალი დროში იცვლებოდა  $-0,06$  ვოლტიდან(ვ)-დან  $-0,40$  ვ-მდე, ხოლო მის თხელ შრეში  $- -0,02$  ვ-დან  $-0,38$  ვ-მდე. მქრქალი ფურჩის ზუმფარის ქალალდით მოხსნის შემდეგ რჩება რუხი ფერის კრიალა ფურჩი, რომლის პოტენციალი წყლის თხელ შრეში იცვლება  $-0,12$  ვ-დან  $-0,46$  ვ-მდე, ხოლო წერტილში  $- -0,10$  ვ-დან  $-0,36$  ვ-მდე.

შემდგომი ექსპრიმენტები ჩატარდა ჩარხზე მაღალი კლასით დამუშავებული ნიმუშების ზედაპირებზე. წყალში დაფიქსირდა გაზომვის შედეგების კარგი თანხვედრა. ნაკერიდან მომორქებით ფოლადის საწყისი პოტენციალი ტოლი იყო  $-0,15$  ვ-ის, ხოლო სტაციონალური აღწევდა  $-0,52$  ვ-ს, ანუ იყო უფრო უარყოფითი, ვიდრე ხენჯიანი ზედაპირის. ჟანგეულების ფურჩის წარმოქმნა იწყებოდა ნიმუშის ზედაპირზე დამაგრებული ტეფლონის წრიული უჯრედის ცენტრში და კონცენტრიულად ვრცელდებოდა მთელ ზედაპირზე. გაწმენდის შემდეგ ნიმუშის ცენტრში დაფიქსირდა ლითონური კრიალი, ხოლო პერიფერიაზე ფოლადის ზედაპირი იყო გამუქებული. დადგინდა, რომ ნიმუშის ცენტრში უჯრება Fe<sub>3</sub>O<sub>4</sub>-სგან, ხოლო პერიფერიაზე – FeO-სგან, რაც განპირობებულია უჯრედის სპეციფიკით – ცენტრში ჟანგბადის გაადვილებული მიწოდებით და უპირატესად მაღალი დაცვითი თვისებების მქრქე სამვალენტიანი რკინის უანგეულების, ხოლო პერიფერიაზე ჟანგბადის შეზღუდული მიწოდების გამო დაბალი დაცვითი უნარის ორგალენტიანი რკინის უანგეულების ფორმირებით.

ზღვის წყლის თხელ შრეში ფოლადის საწყისი პოტენციალი ტოლი იყო  $-0,14$  ვ-ის, ხოლო სტაციონალური მერყეობდა  $-0,42$  –  $-0,43$  ვ-ის ზღვრებში ელექტროლიტის ფურჩის სისქისგან დამოკიდებულებით. წერტილოვანი გაზომვისას პოტენციალი დროში იცვლებოდა  $-0,07$  ვ-დან  $-0,38$  ვ-მდე. აშკარად გამოიკვეთა პოტენციალის გაკეთილშობილების სურათი წყლის სიღრმიდან წერტილამდე: წყალში  $-0,52$  ვ, თხელ შრეში  $-0,42$  ვ და წერტილში  $-0,38$  ვ, რაც ადვილად აიხსნება ფოლადის ზედაპირთან ჟანგბადის მიგრაციის გაადვილებით.

დანადუღ ნაკერზე ელექტროლენტი პოტენციალების განაწილების შესასწავლად გამოყენებული იყო წერტილოვანი მეთოდი. ელექტროლიტური გასაღების გადაადგილება ხორციელდებოდა დანადუღის ცენტრიდან შედებულების ხაზისკენ. გაზომვის დრო არ აღმატებოდა 5 საათს. პოტენციალების სიღრმიდების თანმიმდევრობა იყო შემდეგი (ვ):  $+0,02$ ,  $-0,045$ ,  $-0,07$ ,  $-0,105$ ,  $-0,35$ . ნაკერის ზოგ წერტილში პირველ წუთებში დაფიქსირდა  $+0,21$  –  $+0,38$  ვ-ის ფარგლებშიც.

განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენდა შელღობის ზონის პოტენციალები, რადგანაც შენადუღნაკერიანი ნაკეთობების აგრესიულ გარემოში ხანმედებობა სწორედ შედებულების ხარისხზეა დამოკიდებული. ექსპრიმენტი განმეორდა მრავალჯერ სხვადასხვა ნიმუშებზე და სხვადასხვა წერტილებში. შედეგები იყო მსგავსი და პოტენციალები მერყეობდა  $-0,032$  –  $+0,02$  ვ-ის ზღვრებში. შედებულების ზღვარზე პოტენციალები იყო შედარებით უარყოფითი  $- -0,085$  –  $-0,35$  ვ-ის ფარგლებში.

პოტენციალების სიღრმის ანალიზით აშკარად იკვეთება სურათი, რომ ზღვის წყალსა და ნოტიო ატმოსფეროში ძირითადად იმუშავებს ორი მაკროწყვილი: “ძირითადი ლითონი – გარდამავალი ზონა” და “გარდამავალი ზონა – დანადუღი ნაკერი”. პირველ წყვილში რღვევას დაექვემდებარება ძირითადი ლითონი, ხოლო მეორეში – თერმული გავლენის ზონა.

ანოდური და კათოდური პოტენციოგრაფიული პოლარიზაციული მრუდები გადაღებული იქნა ზღვის წყლის მოცულობაში. სტაციონალური პოტენციალი დაფიქსირდა  $-0,52$  ვ-ზე. კათოდური პროცესები მიმდინარეობდა დამუხრუჭების გარეშე. ანოდური პროცესები  $-0,35$  –  $-0,05$  ვ-ის ზღვრებში მცირე შენელების შემდეგ აჩქარდა. ტაფელის უბნების დახმარებით გათვლილმა კოროზიის სიჩქარემ შეადგინა  $0,104$  გ/მ<sup>2</sup>სთ. დანადუღ ნაკერზე გართულდა პოლარიზაციული მრუდების გადაღება ზედაპირის ქმიური და ფიზიკური არაერთგვაროვნების გამო. სტაციონალური პოტენციალი დაფიქსირდა  $-0,20$  ვ-ზე.  $+0,05$  ვ-ზე აღინიშნა ანოდური გახსნის სიჩქარის შენელება. ტაფელის მრუდების დახმარებით გათვლილი გახსნის სიჩქარე გაუტოლდა  $0,083$  გ/მ<sup>2</sup>სთ-ს. ზედაპირზე დაფიქსირდა მრავლობითი, ქლორიონების შემცველ ელექტროლიტებში უჟანგავი ფოლადებისთვის დამახსასიათებელი პიტინგები, რომელთა ზომები მერყეობდა  $0,056$  –  $0,267$  მმ-ის ზღვრებში.

ზღვის წყალში ერთოვიანი დაყოვნების შემდეგ მასის დანაკარგით გათვლილმა კოროზიის სიჩქარემ შეადგინა  $0,0899 \text{ г/მ}^2\text{სთ}$ . წყლულოვანი კოროზიული პროცესები განვითარდა ძირითად ფოლადზე ნაკერმიძებარე ზონაში. ექსპოზიციის დროის გაზრდით ოთხ თვემდე საერთო კოროზიის სიჩქარე შემცირდა  $0,041 \text{ г/მ}^2\text{სთ-მდე}$ , მაგრამ წყლულოვანი რაოდენობა და სიღრმე გაიზარდა. ორი მეთოდით გათვლილი სიჩქარების შედარებით ჩანს, რომ ფოლადების ზღვის წყალში კოროზიამედევობის შეფასებისთვის დასაშვებია დაჩქარებული ელექტროქიმიური მეთოდის გამოყენება. შედარებით ნაკლებად აგრესიული აღმოჩნდა ბათუმის ნოტიო ატმოსფერო. პირველ თვეში საერთო კოროზიის სიჩქარემ შეადგინა  $0,031 \text{ г/მ}^2\text{სთ}$ , ოთხ თვეში შემცირდა  $0,013 \text{ г/მ}^2\text{სთ-მდე}$  და კლების ტენდენცია გაგრძელდა.

ზოგი საკვლევი ნიმუშის დანადუღ ნაკერზე და შელლობის ზონაში დაფიქსირდა  $0,164 - 0,255 \text{ მმ}$  სიგანის ბზარები, რომელთა პოტენციალები ელექტროლიტის მოცულობაში აღწევდა  $-0,4123\text{-ს}$ . ყველაზე უარყოფითი პოტენციალები დაფიქსირდა თერმული გავლენის ზონის სიახლოვეს. ბზარების არსებობა განაპირობებს ღრეჩჩოვანი კოროზიის განვითარებას, რომლის მიზეზია აგრესიული კომპონენტების გრადიენტი მის შიგნით და გარეთ, რაც იწვევს გაღვანური წყვილის წარმოქმნას და ანოდური უბნის (ღრეჩოს) განვითარებას. ღრეჩოში ტენი უფრო ხანგრძლივი დროით შენარჩუნდება და გარდა ამისა, მასში უანგბადის შეზღუდული მიწოდების გამო ფორმირდება ძირითადად ორგალენტიანი რკინის ჟანგეულები [1].

ყველა მონაცემების შეჯერებით აშკარად იკვეთება სურათი – კონსტრუქციის დამზადებისას გამოყენებული იყო მაღალლეგირებული ფოლადებისთვის გამიზნული X18H9 ტიპის შედელების ელექტროდი. დანადუღი ნაკერი ფუძე ლითონთან შედარებით დაღებითი პოტენციალის გამო იმუშავებს კათოდად. მცირე ფართის კათოდი და დიდი ფართის ანოდი საერთო კოროზიის თვალსაზრისით არ წარმოადგენს დიდ საფრთხეს, მაგრამ გარდამავალ უბნებზე პოტენციალთა სხვაობის გამო გააქტიურდება გაღვანური კოროზია, რაც გამოიწვევს ნაკეთობის რღვევას. სწორედ ასეთი სურათი გამოიკვეთა საკვლევი კონსტრუქციიდან კოროზიის პროდუქტების მოშორების შედეგები წყლულები განლაგებული იყო შელლობის ზონაში ძირითად ლითონზე შედელების ხაზის გასწროვ.

საბოლოოდ შეიძლება დავასკრათ, რომ ბათუმის ნოტიო სუბტროპიკულ ატმოსფეროში ექსპლოატირებული კონსტრუქციის დაზიანება გამოწვეულია შედელების ტექნოლოგიის სრული დარღვევით. გამოცდილებაზე დაყრდნობით ჩავთვალეთ, რომ დანადგარის ხანგრძლივი და უსაფრთხო ექსპლოატაციისთვის მიზანშეწონილია ხელით ელექტრორკალური შედელებისთვის ელექტროდად გამოყენებული იქნას ამ ტიპის ფოლადებისათვის გამიზნული სტანდარტული ელექტროდი შედელების შესაბამისი რეჟიმებით, ან დამზადებს სპეციალური ელექტროდი, რომელიც ქიმიური შედეგნილობით და მექანიკური თვისებებით უფრო ახლოს იქნება კონსტრუქციის ფოლადთან. ასევე აუცილებელია შედელების ტექნოლოგიის მკაცრი დაცვა [2, 3].

ლაბორატორიულ პირობებში შესწავლილი იქნა პოტენციალების განაწილება საკვლევი ფოლადის ზედაპირზე, რომელიც შედელებული იყო სტანდარტული НИАТ-3М მარკის და სპეციალური ელექტროდების დახმარებით. კვლევა წარმოებდა ბუნებრივ ზღვის წყალში. სტანდარტული ელექტროდის გამოყენების შემთხვევაში ნაკერის და თერმული გავლენის ზონის პოტენციალები ტოლი იყო  $-0,40 \text{ ვ-ის}$  და პრაქტიკულად არ განსხვავდებოდა ძირითადი ფოლადის პოტენციალისგან ( $-0,42\text{ვ}$ ). სპეციალური შედელებული ნაკერის პოტენციალი ტოლი იყო  $-0,37\text{ვ-ის}$ , ხოლო თერმული გავლენის ზონისა  $-0,38\text{ვ-ის}$ . ამდენად მიზანშეწონილია 30ХНМА მარკის ფოლადისაგან დამზადებული შენადუღნაკერიანი კონსტრუქციის საიმედო ექსპლოატაციისთვის შედელების ელექტროდად გამოყენებული იქნას НИАТ-3М მარკის სტანდარტული ელექტროდი.

## ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. И.Л.Розенфельд, И.К.Маршаков. Механизм коррозионных процессов, протекающих в условиях ограниченного доступа электролита. Успехи химии, XXXIII, вып. 7, М., 1964, стр. 500-515.
2. Б.Е.Патон. Технология электрической сварки металлов и сплавов. М., 1974, стр. 461-567.
3. Контроль сварных швов. Методические указания. Киевский политехнический институт. Киев. 1970. стр.3-16.

## CORROSION RESISTANCE OF THE WELDED ARMOUR STEEL CONSTRUCTION IN THE HUMID SUBTROPICAL ATMOSPHERE OF BATUMI

Dali Ramazashvili, Lia Akhvlediani, Rusudan Bagrationi, Guram Dadianidze, Nodar Luarsabishvili, Manana Mikaberidze, Vaja Tsintsadze  
*Ferdinand Tavadze Institute of Metallurgy and Materials Science*

### SUMMARY

The reasons of breakdown of engineering design collected by manual arc welding from armour steel of type 30XHMA in the humid subtropical atmosphere of Batumi are investigated. It is established that for welding was used the electrode applicative for high-alloyed steels. As a result of the main metal, a zone of thermal influence, a weld and the weld metal are different on a chemical composition, structure and mechanical properties. Distinction of electrode potentials in sea water and the atmosphere promoted formation of galvanic couples and destruction of the engineering design along a welded joint. Besides the welding condition had been violated contributing to make for micro both macro cracks and the development of crevice corrosion . By laboratory research it is established that for welding of the steel grade 30XHMA it is necessary to use a standard electrode of the type НИАТ-3М.

## КОРРОЗИОННАЯ СТОЙКОСТЬ СВАРНОЙ КОНСТРУКЦИИ ИЗ БРОНЕВОЙ СТАЛИ ВО ВЛАЖНОЙ СУБТРОПИЧЕСКОЙ АТМОСФЕРЕ Г.БАТУМИ

Д.Р.Рамазашвили, Л.А.Ахвледиани, Р.Ю.Багратиони, Г.Н.Дадианидзе, Н.Н.Луарсабишвили,  
М.П.Микаберидзе, В.И.Цинцадзе  
*Институт metallurgii и материаловедения им. Ф.Н. Тавадзе*

### РЕЗЮМЕ

